

შპს „არემჯი გოლდი“

2017 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „არემჯი გოლდის“ სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „არემჯი გოლდის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებითი ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ ხელმძღვანელობის ანგარიშთან დაკავშირებულ დასკვნას. ჩვენ გავცევით ხელმძღვანელობის ანგარიშს და შესრულებული სამუშაოს თანახმად, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით დავასკვნით, სხვა ინფორმაცია

— შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს;

შპს „არემჯი გოლდი“

დამოუკიდებელი აუდიტორთა დასკვნა

გერდი 2

- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მიმოხილვაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

შპს „არემჯი გოლდი“

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

გერდი 3

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“

თბილისი, საქართველო

14 დეკემბერი 2018 წელი

შპს „არემჯი გოლდი“


დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გერდი 3

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარაიანი



შპს „KPMG Georgia“

თბილისი, საქართველო

14 დეკემბერი 2018 წელი

‘000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	45,779	44,659
არამატერიალური აქტივები	13	18,904	20,268
საბადოს განვითარების ხარჯები	14	46,114	56,576
კაპიტალიზირებული სარეკლუტივაციო ანარიცხი	22	12,916	8,813
გაცემული სესხები	15	38,922	26,933
მარაგები	16	9,359	57,665
ავანსები ძირითადი საშუალებებისთვის		297	1,803
სულ გრძელვადიანი აქტივები		172,291	216,717
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	16	51,870	59,938
ავანსები		1,595	4,963
გაცემული სესხები	15	17,370	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	62,113	47,809
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	18	117	221
სულ მიმდინარე აქტივები		133,065	112,931
სულ აქტივები		305,356	329,648
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	19		
საწესდებო კაპიტალი		33,245	34,269
დამატებითი შენატანი კაპიტალში		95,603	95,603
სამართლიანი ღირებულების რეზერვი კაპიტალში			
შენატანებისთვის		(7,918)	(7,918)
დაგროვილი დეფიციტი		(33,003)	(16,279)
სულ კაპიტალი		87,927	105,675
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	21	23,281	31,457
გადასახდელი დივიდენდი	19	65,700	67,083
ტერიტორიის აღდგენის ანარიცხები	22	17,924	12,188
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		106,905	110,728
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	21	80,392	65,372
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23	30,132	47,873
სულ მიმდინარე ვალდებულებები		110,524	113,245
სულ ვალდებულებები		217,429	223,973
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		305,356	329,648

შპს „არეზი გოლდი“
2017 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

’000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	199,621	210,035
სარეალიზაციო ღირებულება	6	(125,325)	(116,841)
მოთხრობილი მოგება		74,296	93,194
სხვა შემოსავალი		4,444	2,592
დისტრიბუციის ხარჯი		(964)	(1,140)
ადმინისტრაციული ხარჯი	7	(22,089)	(15,518)
გაუფასურების ზარალის გაუქმება		-	2,928
მადნის მარაგების ჩამოწერა	16	(66,410)	-
სხვა ხარჯი	9	(4,388)	(1,750)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		(15,111)	80,306
ფინანსური შემოსავალი	10	7,872	1,841
ფინანსური ხარჯი	10	(9,485)	(24,848)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(1,613)	(23,007)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(16,724)	57,299
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	(8,793)
წლის (ზარალი)/მოგება და სხვა სრული (ზარალი)/მოგება		(16,724)	48,506

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 14 დეკემბერს და მისი სახელით, დოკუმენტს ხელს აწერენ:

 ჯონდო შუბითიძე
 აღმასრულებელი დირექტორი

 ლაშა მეფარიშვილი
 ფინანსური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ.

შპს „არემჯი გოლდი“
2017 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

’000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	199,621	210,035
სარეალიზაციო ღირებულება	6	(125,325)	(116,841)
მთლიანი მოგება		74,296	93,194
სხვა შემოსავალი		4,444	2,592
დისტრიბუციის ხარჯი		(964)	(1,140)
ადმინისტრაციული ხარჯი	7	(22,089)	(15,518)
გაუფასურების ზარალის გაუქმება		-	2,928
მადნის მარაგების ჩამოწერა	16	(66,410)	-
სხვა ხარჯი	9	(4,388)	(1,750)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		(15,111)	80,306
ფინანსური შემოსავალი	10	7,872	1,841
ფინანსური ხარჯი	10	(9,485)	(24,848)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(1,613)	(23,007)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(16,724)	57,299
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	(8,793)
წლის (ზარალი)/მოგება და სხვა სრული (ზარალი)/მოგება		(16,724)	48,506

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 14 დეკემბერს და მისი სახელით, დოკუმენტს ხელს აწერენ:

ჯონდო შუბითიძე
 აღმასრულებელი დირექტორი



ლაშა მეფარიშვილი
 ფინანსური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ.

შპს „არემჯი გოლდი“
2017 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	სამართლიანი ღირებულების რეზერვი კაპიტალში შენატანებისთვის	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	34,269	95,603	(6,730)	(64,785)	58,357
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	48,506	48,506
ოპერაციები მესაკუთრებთან შენატანები და განაწილებები					
ადრე აღიარებული გადავადებული გადასახადის გაუქმება სხვა შენატანებზე (შენიშვნა 11)	-	-	(1,188)	-	(1,188)
სულ ოპერაციები მესაკუთრებთან	-	-	(1,188)	-	(1,188)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	34,269	95,603	(7,918)	(16,279)	105,675
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	34,269	95,603	(7,918)	(16,279)	105,675
წლის ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	(16,724)	(16,724)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან შენატანები და განაწილებები					
კაპიტალის შემცირება ფულადი სახსრების გატანის გზით	(1,024)	-	-	-	(1,024)
სულ ოპერაციები მესაკუთრებთან	(1,024)	-	-	-	(1,024)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	33,245	95,603	(7,918)	(33,003)	87,927

შპს „არეზი გოლდი“
2017 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

‘000 ლარი	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
წლის ზარალი/(მოგება)	(16,724)	48,506
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	35,667	33,166
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას/გაყიდვისას	2,004	922
წმინდა ფინანსური ხარჯი	1,613	23,007
მომცემი სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	1,533	-
მადნის მარაგის ჩამოწერა	66,410	-
ძირითად საშუალებებზე გაუფასურების ზარალის გაუქმება	-	(1,073)
საბადოს განვითარების ხარჯზე გაუფასურების ზარალის გაუქმება	-	(1,855)
გამოყენებული შვებულებისა და ნარჩენების გატანის ანარიცხის გაუქმება	(1,508)	-
მოგების გადასახადის ხარჯი	-	8,793
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან, სამუშაო კაპიტალის და ანარიცხების ცვლილებამდე	88,995	111,466
<i>ცვლილებები:</i>		
მარაგები	(9,973)	1,326
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(14,304)	(41,650)
ავანსები	3,368	(2,386)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(9,700)	4,413
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან, მოგების გადასახადების და პროცენტის გადახდამდე	58,386	73,169
გადახდილი მოგების გადასახადი	(5,400)	-
გადახდილი პროცენტი	(9,197)	(9,026)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან	43,789	64,143
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	(38,329)	(29,635)
მიღებული პროცენტი	-	289
ძირითადი საშუალებების შეძენა და ცვლილებები ძირითადი საშუალებების ავანსებში	(20,078)	(21,648)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,948)	(5,841)
დამატებები საბადოს განვითარების ხარჯებზე	(3,593)	(1,386)
დაკავშირებულ და სხვა მხარეებზე გაცემული სესხების (პროცენტის ჩათვლით) დაფარვა	13,700	16,973
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(50,248)	(41,248)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	151,453	68,797
სესხების დაფარვა	(143,167)	(90,483)
მშობელი კომპანიის მიმართ განხორციელებული გადახდები	(1,024)	-
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)/წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან	7,262	(21,686)
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	803	1,209
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	221	32
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	(907)	(1,020)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს (შენიშვნა 18)	117	221

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	17. სავაჭრო მოთხოვნები	22
2. აღრიცხვის საფუძველი	11	18. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	22
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	11	19. კაპიტალი და ნაშთები	22
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	20. კაპიტალის მართვა	23
5. შემოსავალი	14	21. სესხები	24
6. სარეალიზაციო ღირებულება	14	22. ტერიტორიის აღდგენის ანარიცხები და კაპიტალიზირებული სარეკულტივაციო ანარიცხები	25
7. ადმინისტრაციული ხარჯი	15	23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
8. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	15	24. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	27
9. სხვა ხარჯი	15	25. პირობითი ვალდებულებები	32
10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	15	26. დაკავშირებული მხარეები	34
11. მოგების გადასახადები	16	27. ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები	35
12. ძირითადი საშუალებები	17	28. შეფასების საფუძველი	36
13. არამატერიალური აქტივები	19	29. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	36
14. საბადოს განვითარების ხარჯი	20	30. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	45
15. გაცემული სესხები	20		
16. მარაგები	21		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „არემჯი გოლდი“ (შემდგომში „კომპანია“) ქართული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია 1994 წელს დარეგისტრირდა. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 23/4-6.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: დაბა კაზრეთი, ბოლნისის რაიონი, საქართველო.

კომპანიას მიღებული აქვს მინერალური რესურსების, ძიების, მოპოვებისა და დამუშავების ლიცენზია საყდრისის საბადოზე, სამხრეთ საქართველოში ბოლნისისა და დმანისის რაიონების ტერიტორიაზე 2042 წლის იანვრამდე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ნედლი ოქროსა და ვერცხლის, ასევე სპილენძისა და ოქროს შემცველი მადანის მოპოვებას და დამუშავებას. ნედლი ოქრო და ვერცხლი საზღვარგარეთ იყიდება, ხოლო სპილენძისა და ოქროს შემცველი მადანი სს „არემჯი კოპერზე“ იყიდება.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ორი ფიზიკური პირი - დიმიტრი ტროიცი და დიმიტრი კორჟევი, რომლებსაც აქვთ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართონ კომპანიის ოპერაციები. მათ ასევე გააჩნიათ სხვადასხვა ბიზნეს ინტერესები კომპანიის გარეთ. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან აღწერილია 26-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის წარდგენილი. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც არსებითი ცვლილების მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დგანან მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 22 – ტერიტორიის აღდგენის ანარიცხები;
- შენიშვნა 4(ა) – მადნის მარაგები და დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლი;
- შენიშვნა 29(ზ)(iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების და აღდგენის შესაძლებლობის განსაზღვრა; და
- შენიშვნა 29(თ)(iv) – საბადოს განვითარების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების და აღდგენის შესაძლებლობის განსაზღვრა.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 16 – დამუშავების ქვეშ მყოფი ოქროს/ვერცხლის ამოღებადობა;
- შენიშვნა 22 – ტერიტორიის აღდგენის ანარიცხები: მნიშვნელოვანი დაშვებები რესურსების გადინების მნიშვნელობასა და ვადებთან დაკავშირებით; და
- შენიშვნა 25 – პირობითი ვალდებულებები.

(ა) მადნის რეზერვები და დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლი

მადნის რეზერვების და დამუშავების ქვეშ მყოფი ოქროს/ვერცხლის რაოდენობის შეფასებასთან დაკავშირებით რიგი გაურკვევლობა არსებობს, მათ შორის კომპანიის კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორები. მადნის რეზერვი და დამუშავების ქვეშ მყოფი ოქროს/ვერცხლის შეფასება საბურღი ხვრელიდან და სხვა ღიობებიდან აღებული სინჯებიდან მიღებული საბადოს ანალიზის შედეგების საინჟინრო შეფასებებს ეფუძნება. ამასთან, კონკრეტული ლითონის საბაზრო ფასების კლებამ შესაძლოა გამოიწვიოს მინერალიზაციის ნაკლები ხარისხის მქონე მადნის რეზერვების ან დამუშავების ქვეშ მყოფი ოქროს/ვერცხლის არა-ეკონომიკურობა საბადოსთვის ან შემდგომი დამუშავებისთვის. ამასთან საოპერაციო და გარემოსდაცვითი ნებართვების ხელმისაწვდომობამ, საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების ცვლილებამ და სხვა ფაქტორებმა შესაძლოა არსებითად იმოქმედოს კომპანიის მადნის რეზერვებსა და დამუშავების ქვეშ მყოფი ოქროს/ვერცხლის შეფასებაზე.

კომპანიის მადნის რეზერვის ბოლო გარე შეფასება საყდრისის საბადოსთვის 2013 წლის მაისის თვეში ჩაატარა კომპანიამ „Snowden Mining Industry Consultants“, მინერალური რეზერვების შეფასებისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკის მეთოდების გამოყენებით. შეფასების თანახმად, საყდრისის საბადოზე არსებული მინერალური რესურსების რაოდენობა 10,400 ათასი ტონის ოდენობით განისაზღვრა. თავად კომპანია ატარებს მადნის რეზერვების დეტალურ შიდა შეფასებას, ამოთხრილი მიწის საფუძველზე არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც მეტად ზუსტია, ვიდრე საბურღი ხვრელებიდან და სხვა ღიობებიდან აღებული სინჯების საფუძველზე ჩატარებული შეფასებები. კომპანიის გეოლოგების მიერ დაანგარიშებული მარაგების სავარაუდო რაოდენობა იყო შემდეგი: საყდრისის საბადო 2,349 ათასი ტონა (72 ათასი უნცია) და მადნეულის მესამე

ჯერზე გადამუშავების შედეგი (შენიშვნა 17) – 18,600 ტონა (163 ათასი უნცია). ამასთან, კომპანიამ შეაფასა 1,700 ათასი ტონა (27 ათასი უნცია) ბარიტის მადნის რაოდენობა დასამუშავებლად.

ძირითადი საშუალებების გაუფასურების და სასარგებლო მომსახურების ვადების, ასევე საბადოს განვითარების ხარჯების შეფასებისას (შენიშვნა 12 (ა)), კომპანია საკუთარ შეფასებებს იყენებს. (შენიშვნა 12(ც).

კომპანიამ გროვული გამოტუტვის პროცესი საყდრისის ტერიტორიაზე დაიწყო 2014 წელს, რომელიც ასევე მიმდინარეობს 2017 წელს. კომპანიამ მადნეულის ტერიტორიაზე მადნის მეორადი გადამუშავება დაასრულა და დაიწყო მესამედური გადამუშავების პროცესი 2017 წლის სექტემბერში. მესამედური გადამუშავების პროცესის დაწყებამ და საყდრისის ტერიტორიის გაფართოებამ გამოიწვია სამთო-გადამამუშავებელი ოპერაციების გახანგრძლივება, რის გამოც კომპანიამ სამთო-გადამამუშავებელი გეგმის ცვლილება მოახდინა, მოსალოდნელი ოპერაციების ვადები მადნეულის ტერიტორიისთვის 2018 დან 2020 წლამდე, ხოლო საყდრისის ტერიტორიისთვის 2020 დან 2025 წლამდე გახანგრძლივდა.

2017 წლის 31 დეკემბერს არსებული დამუშავების ქვეშ მყოფი ოქროს/ვერცხლის მარაგის ნაშთის ბოლო შეფასება კომპანიის მიერ ჩატარდა 2018 წლის ივნისის თვეში, დამოუკიდებელი კონსულტანტის, შპს „NeoMet Engineering Pty“ (NeoMet) მიერ. (შენიშვნა 16)

საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით, არსებობს მოლოდინი, რომ ერთჯერადად დამუშავებული მადანი კვლად გადამუშავდება, ისევე როგორც მადნეულის ტერიტორიის შემთხვევაში მოხდა. ამასთანავე, დაგეგმილია საყდრისის მეხუთე უბნის გაფართოება, რომელიც თავის მხრივ გამოიწვევს სამთო-გადამამუშავებელი ოპერაციების გახანგრძლივებას საყდრისის ტერიტორიაზე.

ოქროს ხარისხის დონე ფასდება კომპანიის გეოლოგების მიერ. ოქროს საშუალო ხარისხი საყდრისის ტერიტორიებზე ტონაზე 0,87 გრამია (გრ/ტ), ხოლო მადნეულის ტერიტორიაზე დამუშავებული მადნისთვის არის 0,25 გრ/ტ და ბარიტის მადნისთვის - 0,49 გრ/ტ.

კომპანიის გეოლოგების მიერ ოქროს ამოღებადობის მინიმალური განაკვეთი ფასდება საყდრისის ტერიტორიისთვის დაახლოებით 62%-ის, მადნეულის - 25%, ხოლო ბარიტის- 49% განაკვეთის სახით.

2017 წელს დაფიქსირდა ოქროს საშუალო ღირებულების ზრდა 1,249 აშშ დოლარიდან 2016 წელს 1,258 აშშ დოლარამდე.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის გარკვეული საადრიცხო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა შეფასების და ინფორმირების მიზნით მოხდა.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).

- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანიამ აღიარა მოძრაობა სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომელშიც ამგვარ ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია განსაზღვრულია 24-ე შენიშვნაში - სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2017	2016
შემოსავალი ოქროს რეალიზაციიდან	158,948	171,061
შემოსავალი სპილენძის მადნის რეალიზაციიდან	30,156	19,213
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	5,393	5,874
შემოსავალი ოქროს ნახშირბადის რეალიზაციიდან *	3,611	11,822
შემოსავალი ვერცხლის რეალიზაციიდან	1,505	1,948
სხვა შემოსავალი	8	117
სულ შემოსავალი	199,621	210,035

* შემოსავალი სს „არემჯი კოპერისთვის“ გაწეული მომსახურებებიდან უმეტესად მოიცავდა მადნის დატვირთვასა და ტრანსპორტირებას, საბადოსთან მისასვლელი გზის მშენებლობას და სხვ.

6. სარეალიზაციო ღირებულება

'000 ლარი	2017	2016
ოქროს სარეალიზაციო ღირებულება	93,886	95,342
სპილენძის მადნის და სხვა მასალების სარეალიზაციო ღირებულება	27,999	16,783
გაწეული მომსახურებების ღირებულება	2,131	1,975
ოქროს ნახშირბადის სარეალიზაციო ღირებულება	798	2,258
ვერცხლის სარეალიზაციო ღირებულება	511	483
	125,325	116,841

სარეალიზაციო ღირებულება მოიცავს შემდეგს:

'000 ლარი	2017	2016
კომუნალური და სხვა დამატებითი ხარჯი	63,449	56,751
მასალები	27,584	26,960
ამორტიზაცია	15,831	17,404
ხელფასები და სხვა განაცემები	11,850	8,486
ცვეთა	6,611	7,240
	125,325	116,841

7. ადმინისტრაციული ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
ხელფასები და სხვა განაცემები	12,090	8,720
პროფესიული მომსახურებები	1,845	566
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,465	291
იჯარა	934	870
ცვეთა და ამორტიზაცია	667	595
ქველმოქმედება და სპონსორობა	647	362
დაზღვევა	507	402
კვების ხარჯი	493	529
საწვავის ხარჯი	394	349
სამივლინებო ხარჯი	325	351
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	306	321
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	2,416	2,162
	22,089	15,518

შემოთ განსაზღვრული პროფესიული მომსახურებების ხარჯი მოიცავს აუდიტორული ფირმისთვის აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის 234 ათასი ლარის ოდენობით გადახდილ თანხას.

8. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
ხელფასები და სხვა განაცემები	24,586	18,598

9. სხვა ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	2,004	-
მოძველებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	1,533	238
სხვა	851	1,512
	4,388	1,750

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებზე		
გაცემულ სესხებზე	4,453	1,841
წმინდა შემოსავალი კურსთა სხვაობიდან	3,419	-
ფინანსური შემოსავალი	7,872	1,841
საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ფასით შეფასებულ		
ფინანსურ ვალდებულებებზე	(9,303)	(10,179)
დისკონტირების უკუგება (შენიშვნა 22)	(182)	(144)
წმინდა ზარალი კურსთა სხვაობიდან	-	(14,525)
ფინანსური ხარჯები	(9,485)	(24,848)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(1,613)	(23,007)

11. მოგების გადასახადები

(ა) მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

კომპანიის მოქმედი საგადასახადო განაკვეთია მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთი (2016: 15%).

'000 ლარი	2017	2016
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი		
მიმდინარე წელი	-	12,746
	-	12,746
გადავადებული საგადასახადო (სარგებელი)/ხარჯი		
დროებითი სხვაობების წარმოშობა და აღდგენა	-	-
ცვლილება აღიარებულ დაქვითვად დროებით სხვაობებში (კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიზეზით)	-	(3,953)
სულ საგადასახადო ხარჯი	-	8,793

(ბ) მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება

	2017		2016	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
წლის მოგება/(ზარალი)			48,506	
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	8,793	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე			57,299	100
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	-	-	8,595	15
გამოუქვითვადი ხარჯი	-	-	-	-
სხვაობა შემოსავლის და ხარჯის საგადასახადო და ფასს საფუძვლებს შორის	-	-	4,151	7
ცვლილება აღიარებულ დაქვითვად დროებით სხვაობებში (კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიზეზით)	-	-	(3,953)	(7)
	-	-	8,793	15

ადრე აღიარებული გადავადებული გადასახადის (3,953 ათასი ლარი და 1,188 ათასი ლარი) დაბრუნება მოგებაში ან ზარალში და კაპიტალში, შესაბამისად, უკავშირდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე შევიდა ძალაში, კომპანიამ აღიარა ცვლილების სრული ეფექტი ადრე აღიარებული გადავადებული გადასახადის აღიარების შეწყვეტით მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ასევე კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებებში, შესაბამისად, მოგება ან ზარალის მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებაში მოგების გადასახადის სარგებლის და ადრე აღიარებული გადავადებული გადასახადის დაბრუნების სახით, კაპიტალის მფლობელებისგან სხვა შენატანებზე კაპიტალში ცვლილების მიმდინარე ანგარიშგებაში.

(გ) პირდაპირ კაპიტალში აღიარებული თანხები

	2017			2016		
	გადასახადის დაბეგრამდე გადასახადი		გამოკლებით	გადასახადის დაბეგრამდე გადასახადი		გამოკლებით
'000 ლარი						
სამართლიანი						
ღირებულების რეზერვი						
კაპიტალში						
შენატანებისთვის	-	-	-	-	1,188	1,188

(დ) მოგების გადასახადის ვალდებულებების შეჯერება

იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადები წამოადგენენ აგრეგირებულ საგადასახადო ვალდებულებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითა დღგ-ს მოთხოვნით.

12. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	შენიშვნები და ინფრასტრუქტურები	მანქანა-დანადგარები	ავტომობილები, ავეჯი და ხელსაწყოები	საბადოს ქონება	დაუსრულებელი მშენებლობა (CIP)*	სხვა	სულ
ნაგულისხმევი ღირებულება / თვითღირებულება							
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	40,218	42,651	2,649	11,500	125	2,563	99,706
შესყიდვები	462	2,557	1,040	13,032	2,921	44	20,056
გაყიდვები / ჩამოწერები	(1,245)	(1,873)	-	-	(309)	(35)	(3,462)
გადაცემები	727	926	-	-	(1,785)	132	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	40,162	44,261	3,689	24,532	952	2,704	116,300
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	40,162	44,261	3,689	24,532	952	2,704	116,300
შესყიდვები	203	1,160	353	12,814	6,991	63	21,584
გაყიდვები / ჩამოწერები	(13,891)	(1,884)	(357)	-	(1,597)	(431)	(18,160)
გადაცემები	1,736	3,116	-	-	(5,002)	150	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	28,210	46,653	3,685	37,346	1,344	2,486	119,724
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი							
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	28,995	27,557	1,742	1,446	125	1,706	61,571
წლის დარიცხვა	2,693	4,559	649	5,623	-	159	13,683
ცვლილება გაუფასურებაში	(382)	(577)	(53)	-	(23)	(38)	(1,073)
გაყიდვები	(836)	(1,670)	-	-	-	(34)	(2,540)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	30,470	29,869	2,338	7,069	102	1,793	71,641
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	30,470	29,869	2,338	7,069	102	1,793	71,641
წლის დარიცხვა	2,104	3,189	855	10,440	-	261	16,849
გაყიდვები	(12,466)	(1,361)	(296)	-	-	(422)	(14,545)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	20,108	31,697	2,897	17,509	102	1,632	73,945
წმინდა ნომინალური ღირებულება:							
2016 წლის 1 იანვარს	11,223	15,094	907	10,054	-	857	38,135
2016 წლის 31 დეკემბერს	9,692	14,392	1,351	17,463	850	911	44,659
2017 წლის 31 დეკემბერს	8,102	14,956	788	19,837	1,242	854	45,779

2017 წელს ცვეთის ხარჯი 6,611 ათასი ლარის ოდენობით დაერიცხა გაყიდული საქონლის ღირებულებას (2016: 7,240 ათასი ლარი), ხოლო 213 ათასი ლარი - ადმინისტრაციულ ხარჯზე (2016: 446 ათასი ლარი).

*დაუსრულებელი მშენებლობა (CIP) ასევე მოიცავს საწყობში არსებულ სათადარიგო ნაწილებს.

** ძირითადი საშუალებები მოიცავს სრულად გაცვეთილ აქტივებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ღირებულებით: 30,378 ათასი ლარი (2016: 32,294 ათასი ლარი)

(ა) ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შემდგომი გაუქმება

2016 წლის განმავლობაში, ოქროს ფასების და ეკონომიკურად აღდგენადი მადნის მარაგების ზრდის გამო კომპანიამ შეამოწმა ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურება და მოახდინა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული 1,073 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალის დაბრუნების აღიარება, რის შედეგადაც გაუფასურების ზარალის მთლიანი ოდენობა იქნა დაბრუნებული.

2017 წლის ბოლო მდგომარეობით გაუფასურების ინდიკატორები არ დაფიქსირებულა .

(ბ) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბერს, ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 45,779 ათასი ლარი (2016: 44,659 ათასი ლარი) დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ შენიშვნა 21).

(გ) ცვლილება შეფასებებში

2017 წლის განმავლობაში, კომპანიამ განახორციელა ამოღებადი რეზერვების საოპერაციო ეფექტურობის მიმოხილვა და მადნეულის და საყდრისის ტერიტორიაზე დამუშავების ვადები, 2018 დან 2020 მდე და 2020 დან 2025 წლებამდე გაახანგრძლივა. ამ ფაქტმა გამოიწვია ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი გამოყენების ვადების ცვლილება.

ძირითადი საშუალებები, რომლის გამოყენებასაც ხელმძღვანელობა გეგმავდა თავდაპირველად 2018-2020 წლებამდე, მოსალოდნელია, რომ წარმოებაში დარჩება 2020-2025 წლებამდე.

მოსალოდნელი მომსახურების ვადების გაგრძელებამ შემდეგი სახის გავლენა იქონია მიმდინარე და მომავალი პერიოდის ცვეთის ხარჯებზე:

'000 ლარი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
მატება/(კლება)									
ცვეთის დარიცხვაში	(773)	188	1,628	5,776	1,451	1,032	1,032	1,032	1,035

(დ) საბადოს ქონება

2015 წელს, კომპანიის მიერ საყდრისის საბადოზე სამთო-მომპოვებელი სამუშაოების დაწყების შემდეგ, ფასიკ 20-ის (ღია წესით დასამუშავებელი საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული საბადოს გადახსნის დანახარჯები) შესაბამისად, სამთო-მომპოვებელი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე გადასახსნელი სამუშაოების ხარჯები, რომლებიც მომავლისთვის დარეზერვებულ მადანზე წვდომას აუზრუნველს, აღიარებულია სამთო-მომპოვებელი ქონების ნაწილის სახით, კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში (იხილეთ შენიშვნა 29(თ)).

13. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	საძიებო და საშემფასებლო ლიცენზიები	სხვა	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	26,221	115	26,336
შესყიდვები	4,627	1,214	5,841
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	30,848	1,329	32,177
 ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	30,848	1,329	32,177
შესყიდვები	1,289	659	1,948
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	32,137	1,988	34,125
 ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალი			
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	6,609	112	6,721
წლის ამორტიზაცია	5,039	149	5,188
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	11,648	261	11,909
 ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	11,648	261	11,909
წლის ამორტიზაცია	2,858	454	3,312
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	14,506	715	15,221
 საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 1 იანვარს	19,612	3	19,615
2016 წლის 31 დეკემბერს	19,200	1,068	20,268
2017 წლის 31 დეკემბერს	17,631	1,273	18,904

(ა) ამორტიზაცია

ლიცენზიის ამორტიზაცია ნაწილდება მარაგების ღირებულებაზე და მარაგის გაყიდვისას აღიარდება სარეალიზაციო ღირებულებაში; სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია შესულია ადმინისტრაციულ ხარჯში.

(ბ) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არამატერიალური აქტივები საბალანსო ღირებულებით 18,904 ათასი ლარი (2016: 20,268 ათასი ლარი) დაგირავებულია სს „საქართველოს ბანკის: საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ შენიშვნა 21).

(გ) ცვლილება შეფასებებში

ამოღებადი რეზერვების რაოდენობის ცვლილებამ და შესაბამისი პროცესების გახანგრძლივებამ (შენიშვნა 4(ა)), გამოიწვია ცვლილება მინერალური რესურსების დამუშავების ლიცენზიის ვადის გამოყენებაში.

მოსალოდნელი მომსახურების ვადების გაგრძელებამ შემდეგი სახის გავლენა იქონია მიმდინარე და მომავალი პერიოდის ამორტიზაციის ხარჯებზე:

'000 ლარი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
კლება									
ამორტიზაციის დარიცხვაში	(2,223)	(2,316)	(2,316)	(2,316)	(2,316)	(2,316)	(2,316)	(2,316)	(2,316)

14. საბადოს განვითარების ხარჯი

მოძრაობა საბადოს განვითარების ხარჯში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	56,576	66,010
შესყიდვები	3,593	1,386
ამორტიზაცია	(14,055)	(12,675)
გაუფასურების ზარალის გაუქმება	-	1,855
ნაშთი წლის ბოლოს	46,114	56,576

15. გაცემული სესხები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის მატარებელი გაცემული სესხების სახელშეკრულებო ვადების შესახებ, რომელიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება. კომპანიის საპროცენტო და საკრედიტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 24-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	2017	2016
მიმდინარე აქტივები		
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	17,370	-
გრძელვადიანი აქტივები		
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	38,922	26,933
	56,292	26,933

(ა) ვადები და სესხის დაფარვის გრაფიკი

დასაფარი სესხის ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ (CMG)	აშშ დოლარი	12.50%	2025	34,918	34,918	19,909	19,909
„არემჯი აურამაინი“	აშშ დოლარი	12.50%	2018	17,323	17,323	2,781	2,781
„Mining Global Project“ (MGP)	აშშ დოლარი	16.00%	2025	1,956	1,956	1,761	1,761
„არემჯი კოპერი“	აშშ დოლარი	12.50%	2020	353	353	2,482	2,482
„Georgian Gold Company“ (GGC)	აშშ დოლარი	12.50%	2019	1,695	1,695	-	-
„Mining Investments“ (MI)	აშშ დოლარი	12.50%	2018	47	47	-	-
				56,292	56,292	26,933	26,933

გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. მარაგები

’000 ლარი	2017	2016
გრძელვადიანი		
დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლი	9,359	57,665
მიმდინარე		
დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლი	39,624	49,510
ნედლეული და სახარჯი მასალა	7,310	8,606
მზა პროდუქცია	4,936	1,822
	51,870	59,938

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლის გრძელვადიანი ნაშთი მოიცავს სულფიდურ მადანს, რომელსაც კომპანია ყიდის „არემჯი კოპერზე“ (დაკავშირებული მხარე). ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლის გრძელვადიანი ნაშთი 57,665 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს გროვეზს, რომლის დამუშავების პროცესი გაგრძელდება 12 თვეზე მეტს.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლის მიმდინარე ნაშთი წარმოადგენს გროვეზს, რომლის დამუშავებასაც აპირებს კომპანია ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

მზა პროდუქცია მოიცავს ტრანსპორტირების პროცესში მყოფ საქონელს 4,936 ათასი ლარის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016: 1,822 ათასი ლარი).

მნიშვნელოვანი ცვლილებები დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლის გრძელვადიან ნაშთში

კომპანია ყოველ წელს ქირაობს დამოუკიდებელ კონსულტანტს მადნეულისა და საყდრისის ტერიტორიაზე მარაგების ნაშთის შესაფასებლად (შენიშვნა 4). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი გეოლოგების „NeoMet“-ის ანგარიშის თანახმად, ამოღებადი ოქროს მარაგი საყდრისისა და მადნეულის სამთო-მომპოვებელი ტერიტორიებისთვის შეფასდა 12,393 უნციისა და ნული უნციის ოდენობით, შესაბამისად. დასკვნა მადნეულის ტერიტორიის შესახებ შემდეგ ფაქტორებს ეფუძნებოდა: ა) მადანი ორჯერ გადამუშავდა და კომპანიამ დაიწყო გროვული ნაშთების გამოტუტვის მესამედური პროცესი 2017 წელს; ბ) დარჩენილი დაგროვილი ნაშთების მიუწვდომლობა და არასაკმარისი ინფორმაცია შესაბამისი გეოლოგიური შემოწმებისათვის.

მიუხედავად ამისა, კომპანიის შიდა გეოლოგების შეფასების შედეგად და მომზადებული სამთო-მომპოვებელი გეგმის საფუძველზე, ამოღებადი მარაგი მადნეულის გროვული გამოტუტვისთვის შეფასდა 47,382 უნციის ოდენობით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შეფასებული მონაცემები ექვემდებარება ბევრ წინასწარ განუსაზღვრელ ფაქტორს, კომპანიის ხელმძღვანელობამ კონსერვატიულ მიდგომას მიმართა და განიხილა მადნეულის ტერიტორიასთან დაკავშირებული მარაგების ნაშთის ჩამოწერის საკითხი, თანახმად დამოუკიდებელი კონსულტანტის დასკვნისა.

2018 წლის განმავლობაში, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე, მადნეულის გროვული გამოტუტვის საფუძველზე მესამედური გადამუშავების შედეგად ამოღებული ოქრო 6,568 უნციას შეადგენდა. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჩამოწერა 66,410 ათასი ლარის ოდენობით დამუშავების ქვეშ მყოფი ოქრო/ვერცხლის გრძელვადიანი ნაშთი, რომელიც არ მოიცავს 2018 წლის განმავლობაში ამოღებულ ოქროს რაოდენობის შესაბამის ღირებულებას.

17. სავაჭრო მოთხოვნები

'000 ლარი	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები მესამე მხარის მიმართ *	61,964	47,517
სავაჭრო მოთხოვნები	133	242
სხვა მოთხოვნები	16	50
სესხებში და მოთხოვნების კატეგორიაში შესული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	62,113	47,809

* მესამე მხარის მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს ნაშთების მოთხოვნას სს „არემჯი კოპერის“ მიმართ, კომპანიას, სს „არემჯი კოპერსა“ და შპს „Trafigura PTE“-ს (შემდგომში „Trafigura“) შორის 2016 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ოქროს ნახშირბადის გაყიდვებიდან (შენიშვნა 5) შემოსული თანხა, რომელიც „Trafigura“-ს კომპანიის წინაშე მართებს, გადაეწერება სს „არემჯი კოპერს“.

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე განხილულია 24-ე შენიშვნაში.

18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2017	2016
ნაშთები ბანკში	117	221
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	117	221

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო რისკზე და მგრძნობელობის ანალიზზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, განხილულია 24-ე შენიშვნაში.

19. კაპიტალი და ნაშთები

(ა) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის აშშ დოლარში დენომინირებული საწესდებო კაპიტალი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100 ათასი აშშ დოლარი (130 ათასი ლარი) იყო. მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით, 2014 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი 19,600 აშშ დოლარით (34,139 ლარი) გაიზარდა, „MIG“-ში „RMG B.V“-ს 100%-იანი საკუთრების წილის „არემჯი გოლდში“ საწესდებო კაპიტალში შეტანის გზით. მშობელი კომპანიის 2017 წლის 28 თებერვლით და 16 ოქტომბრით დათარიღებული დადგენილებების თანახმად, საწესდებო კაპიტალი შემცირდა 379 ათასი აშშ დოლარის და 18 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 19,303 ათას აშშ დოლარს (33,245 ათასი ლარი) (2016: 19,700 ათასი აშშ დოლარი (34,269 ათასი ლარი)).

(ბ) დივიდენდები

კომპანიის მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთები შეიზღუდა გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის საწესდებო ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი დივიდენდის ნაშთი

65,700 ათასი და 67,083 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, წარმოადგენს სს „არემჯი კოპერის“ მიმართ არსებულ ვალდებულებას. გადასახდელი დივიდენდის განაწილება იზღუდება უზრუნველყოფილი საბანკო სესხების დაფარვამდე (შენიშვნები 21, 27).

(გ) დამატებითი შენატანი კაპიტალში

დამატებითი შენატანი კაპიტალში წარმოადგენს აქციონერების მიერ განხორციელებულ მთლიან ფულად და არაფულად შენატანებს, რომლებიც ჯერ არ არის რეგისტრირებული კომპანიის საწესდებო კაპიტალის მატებად ანგარიშგების თარიღისთვის.

(დ) სამართლიანი ღირებულების რეზერვი კაპიტალში შენატანისთვის

მშობელი კომპანიის მიერ 2014 წლის ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა სალიცენზიო შენატანის სახით 34,139 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიამ შეაფასა ლიცენზიის სამართლიანი ღირებულება 26,221 ლარის ოდენობით (შენიშვნა 13). სხვაობა საწესდებო კაპიტალის ზრდასა და მოსალოდნელ სამართლიან ღირებულებას შორის, შესაბამისი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით 1,188 ლარის ოდენობით (შენიშვნა 11) აღიარდა სამართლიანი ღირებულების რეზერვის სახით კაპიტალში შენატანისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

20. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ასევე შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა კოეფიციენტი. ეს მიიღწევა მიმდინარე აქტივების/ვალდებულებების ეფექტური მართვით, კერძოდ ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტების, დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულებების მართვის, კომპანიის შემოსავლების და შედეგების მუდმივი მონიტორინგის და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების გზით, რაც უმეტესად ვალებით ფინანსირდება. ხელმძღვანელობის აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ, სამთო-მომპოვებელი და საწარმოო პროცესები საყდრის საბადოზე 2014 წლიდან დაიწყო, კომპანიის მოგება და ფულადი ნაკადები განაგრძობს ზრდას.

კომპანიის სესხისა და კაპიტალის კოეფიციენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

'000 ლარი	2017	2016
სულ ვალდებულებები	217,429	223,973
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გამოკლებით	(117)	(221)
წმინდა ვალი	217,312	223,752
 სულ კაპიტალი	 87,927	 105,675
სესხის და კაპიტალის კოეფიციენტი 31 დეკემბერს	2.47	2.12

კომპანიის მიდგომაში კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით წლის განმავლობაში ცვლილება არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე პირებიდან დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

21. სესხები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტის მატარებელი სესხების სახელშეკრულებო ვადების შესახებ. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	2017	2016
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	-	30,279
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	23,198	-
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები	83	1,178
	23,281	31,457
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	72,886	53,547
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	6,310	10,195
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები	1,196	1,630
	80,392	65,372

ბანკის უზრუნველყოფილი სესხები დაგირავებულია კომპანიის უძრავ-მოძრავი ქონებით (იხილეთ შენიშვნა 12(b)), და საყდრისის საბადოზე სამთო-მომპოვებელი სამუშაოების ლიცენზიით (იხილეთ შენიშვნა 13).

(ა) ვადები და სესხის დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2018	25,937	25,937	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2018	27,891	27,891	67,594	67,594
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2018	4,533	4,533	5,985	5,985
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2018	3,631	3,631	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.50%	2018	3,631	3,631	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2018	3,627	3,627	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2018	3,634	3,634	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2017	-	-	3,640	3,640
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2017	-	-	1,141	1,141
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10.25%	2017	-	-	2,128	2,128
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	11.50%	2017	-	-	2,253	2,253
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	12.50%	2016	2	2	3	3
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	10.25%	2016	-	-	1,082	1,082
სესხები დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	12.50%	2020	23,198	23,198	-	-
სესხები დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	11.00%	2018	5,540	5,540	9,563	9,563
სესხები დაკავშირებული მხარისგან	ევრო	11.00%	2018	770	770	632	632
ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ევრო	21.13%	2018	1,052	1,052	1,923	1,923
ფინანსური საიჯარო ვალდებულება	აშშ დოლარი	22.73%- 26.14%	2018- 2019	227	227	885	885
სულ პროცენტაანი ვალდებულებები				103,673	103,673	96,829	96,829

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 GEL	კაპიტალის		
	შემცირება	სესხები	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	-	96,829	96,829
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	151,453	151,453
სესხების დაფარვა	-	(143,167)	(143,167)
გადახდილი პროცენტი	-	(9,197)	(9,197)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	-	95,918	95,918
სხვა ცვლილებები			
დარიცხული პროცენტი	-	9,303	9,303
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	-	(1,548)	(1,548)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	-	7,755	7,755
მშობელი კომპანიის მიმართ განხორციელებული გადახდები	(1,024)	-	(1,024)
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(1,024)	-	(1,024)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	(1,024)	103,673	102,649

(გ) ფინანსური საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური საიჯარო ვალდებულებები წარმოადგენს შემდეგი სახის ვალდებულებას:

'000 ლარი	2017			2016		
	მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები		მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება	მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები		მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება
	გადახდები	პროცენტი		გადახდები	პროცენტი	
	ერთ წელზე ნაკლები	ერთიდან ხუთ წლამდე		ერთ წელზე ნაკლები	ერთიდან ხუთ წლამდე	
ერთ წელზე ნაკლები	1,370	(174)	1,196	2,056	(426)	1,630
ერთიდან ხუთ წლამდე	98	(15)	83	1,356	(178)	1,178
	1,468	(189)	1,279	3,412	(604)	2,808

22. ტერიტორიის აღდგენის ანარიცხები და კაპიტალიზირებული სარეკულტივაციო ანარიცხები

მოძრაობა ტერიტორიის აღდგენის ანარიცხში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2017	2016
გრძელვადიანი		
ნაშთი 1 იანვარს	12,188	11,070
დისკონტირების უკუგება	183	144
ცვლილებები შეფასებაში	5,553	974
ნაშთი 31 დეკემბერს	17,924	12,188

მომდროება კაპიტალიზირებულ სარეკულტივაციო ანარიცხში (აქტივი) წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

’000 ლარი	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	8,813	9,459
ამორტიზაცია	(1,450)	(1,620)
ცვლილებები შეფასებაში	5,553	974
ნაშთი წლის ბოლოს	12,916	8,813

მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო საყდრისის საბადოზე მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზია 2014 წლის ოქტომბერში (იხილეთ შენიშვნა 1(b), კომპანიის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საყდრისის საბადოს და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენის ვალდებულება სრულად იქნება გაწეული კომპანიის მიერ 2026 წელს, კომპანიის ოპერაციების დასრულების შემდეგ (ხელმძღვანელობის გეგმების შესაბამისად).

ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, ანარიცხის გაანგარიშების ყველაზე დიდი გაურკვევლობა უკავშირდება გასაწევ ხარჯებს. გარემოს დაცვითი კანონმდებლობა საქართველოში განაგრძობს განვითარებას და რთულია მსგავსი ტერიტორიის აღდგენასთან დაკავშირებით მიმდინარე კანონმდებლობით მოთხოვნილი ზუსტი სტანდარტების განსაზღვრა. ზოგადად, აღდგენის სტანდარტი განისაზღვრება მატერიალური რესურსების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე. ამ დაშვების გაკეთებისას, ხელმძღვანელობამ კონსულტაცია გაიარა კომპანიის ადგილობრივ და გარე ინჟინრებთან.

მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებსაც ეფუძნება ტერიტორიის აღდგენის ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

- ტერიტორიის აღსადგენად საჭირო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მთლიანი არა-დისკონტირებული თანხა შეადგენს 20,499 ათასი ლარი (2016: 13,153 ათასი ლარი).
- ანარიცხის ვადები განისაზღვრა ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, როდესაც კომპანია შეწყვეტს მადნის მოპოვებას (რეზერვების მოპოვება სამთო-მომპოვებელი და მეორადი დამუშავებით) და ლიცენზიის მოქმედების პერიოდს. აღდგენის ხარჯის გაწევა დაიგეგმა 2021 წლისთვის მადნეულის ტერიტორიის დამუშავების გროვებისთვის და 2026 წელს - საყდრისის საბადოსთვის.
- ურისკო განაკვეთი, რომლითაც მოხდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება იყო 2,32% (2016: 1,5%). დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენდა ნომინალურ ურისკო განაკვეთს, მოსალოდნელი ინფლაციის ცვლილების განხორციელებამდე.
- წლიდან წლამდე ზრდის ეფექტი ცვლილებები შეფასებებში გამოწვეულია საყდრისის ტერიტორიის გაფართოებით 2025 წლამდე (2016: 2020)

23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

’000 ლარი	2017	2016
სავაჭრო ვალდებულებები	16,105	14,393
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	5,914	16,611
საგადასახადო ვალდებულება გარდა მოგების გადასახადისა*	4,869	11,955
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	3,244	3,406
ნარჩენების გატანის ანარიცხი (შენიშვნა 25)	-	1,023
გამოუყენებელი შვებულების ანარიცხი **	-	485
	30,132	47,873

* ბუნებრივი რესურსის გამოყენების და სახელმწიფოს მიმართ რეგულაციის ღირებულების ვალდებულების ჩათვლით

** გამოუყენებელი შვებულების პოლიტიკაში ცვლილებების გამო, 2017 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით კომპანიაში გამოუყენებელი შევსებების დღეები არ ფიქსირდებოდა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე კომპანიის დაქვემდებარება განხილულია 24-ე შენიშვნაში.

24. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისგან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი თანხა აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვის ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება ძირითადი თანხისა და საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

(ბ) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(ბ)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(ბ)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(ბ)(iv));
- საოპერაციო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(ბ)(vi));

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების სათანადო საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების დადგენისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში. ტრეინინგების, მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს მოწესრიგებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანიის საკრედიტო რისკი წარმოიშვება სავაჭრო მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან და ბანკში არსებული ფულადის სახსრებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ექვემდებარება.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ანგარიშგების თარიღში იყო:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები	62,113	47,809
გაცემული სესხები	56,292	26,933
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	117	221
	118,522	74,963

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკის ქვეშ ყოფნა ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. კომპანიის მომხმარებელთა ბაზას, მათ შორის მრეწველობის და ქვეყნის გამოუცხადებელი რისკი, რომელშიც ფუნქციონირებს მომხმარებელი, უფრო ნაკლები გავლენა აქვს საკრედიტო რისკზე. კომპანია უმეტესად ერთ მომხმარებელთან ურთიერთობს 2016 წლის მაისამდე და კვლავ სხვა ერთ მომხმარებელთან 2016 წლის მაისის შემდეგ. მომხმარებლები კანადასა და შვეიცარიაში არიან დაფუძნებული, შესაბამისად. შედეგად, კომპანიის თითქმის ყველა შემოსავალი ოქროს და ვერცხლის გაყიდვის ოპერაციებს უკავშირდება ერთ მომხმარებელთან 2017 წელს (2016: ორი კლიენტი) და სპილენძის მადნის გაყიდვის ოპერაციას სს „არემჯი კოპერთან“.

საქონელი იყიდება ტიტულიანი მუხლების შეკავების გზით, ისეთი ფორმით, რომ მომხმარებლის მხრიდან გადაუხდელობის შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა უზრუნველყოფილი მოთხოვნა ჰქონდეს. კომპანია არ ითხოვს სხვა უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანიის ოქროს და ვერცხლის ხელშეკრულებები, ზოგადად, უზრუნველყოფილია პირობითი გადახდისთვის, ინდივიდუალური ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებიც ეფუძნება წინასწარ ანალიზებს. საბოლოო ანგარიშსწორება ეფუძნება საბოლოო ანალიზებს და ლითონის კოტირებულ ფასებს, გასაშუალებულს კონკრეტული კვოტირების პერიოდის განმავლობაში, რომელიც როგორც წესი 5 დღეს მოიცავს.

გაუფასურების ზარალი

გადახდისუნარიანობის ისტორიული განაკვეთების საფუძველზე, კომპანიას მიაჩნია, რომ სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით საჭირო არ არის გაუფასურების ანარიცხი. ანგარიშგების თარიღში არცერთი სავაჭრო მოთხოვნის ნაშთი არ იყო ვადაგადაცილებული.

სასესხო მოთხოვნები

კომპანიის პოლიტიკა მოიცავს სესხების მხოლოდ მისი დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემას. კომპანია არ ითხოვს სესხების უზრუნველყოფას. კომპანიას არ მიაჩნია, რომ დაკავშირებული მხარეები ვერ დააკმაყოფილებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანია ფლობდა 117 ათასი ლარის ოდენობით (2016: 221 ათასი ლარი) ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დაცულია ბანკში და ფინანსურ დაწესებულებებში, რომლებსაც Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB და B.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის

შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ჩვეულებრივ, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას შესაბამისი მოთხოვნამდე ფულადი სახსრები ჰქონდეს მისი მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯის დასაკმაყოფილებლად 90-დღიანი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის; ეს გამოირიცხავს უკიდურესი ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

კომპანიას არ გააჩნია ლიკვიდურობის რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ის, ჩვეულებრივ ფლობს მიმდინარე აქტივებს, რომლებიც მიმდინარე ვალდებულებებს აღემატება და უზრუნველყოფენ იმას, რომ კომპანია აკმაყოფილებს მის ფინანსურ ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის პრობლემების არსებობის შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია მიიღოს ფინანსები მისი მშობელი კომპანიისგან ან ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიებისგან.

დაქვემდებარება ლიკვიდურობის რისკზე

ქვემოთ მოცემულია ანგარიშგების თარიღში არსებული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები. თანხები წარმოდგენილია მთლიანად, დაქვითვის გარეშე (ბრუტო) და მოიცავს საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას:

31 დეკემბერი 2017	საბალანსო	სახელშეკრულებო		0-დან 3	3-დან 12	1-დან 2	2-დან 5
'000 ლარი	ლირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	თვემდე	თვემდე	წლამდე	წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	72,886	74,348	-	54,431	19,917	-	-
სესხი დაკავშირებული მხარისგან	29,508	36,589	6,310	128	390	-	29,761
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები	1,279	1,468	-	424	946	98	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,019	22,019	9,243	12,776	-	-	-
გადასახდელი დივიდენდი	65,700	65,700	-	-	-	-	65,700
	191,392	200,124	15,553	67,759	21,253	98	95,461

'000 ლარი	საბალანსო	სახელშეკრულებო		0-დან 3	3-დან 12	1-დან 2	2-დან 5
ლირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	თვემდე	თვემდე	წლამდე	წლამდე	
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	83,826	90,391	3	17,671	41,312	31,405	-
სესხი დაკავშირებული მხარისგან	10,195	11,891	10,194	154	663	880	-
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები	2,808	4,077	-	856	1,774	1,447	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,004	31,004	20,153	6,901	3,800	150	-
გადასახდელი დივიდენდი	67,083	67,083	-	-	-	-	67,083
	194,916	204,446	30,350	25,582	47,549	33,882	67,083

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვლილება, როგორც არის უცხოური ვალუტის განაკვეთები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკის დაქვემდებარების მართვა და კონტროლი,

მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირებას მოგებასა ან ზარალში ცვალებადობის სამართავად.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, გაყიდვებთან, შესყიდვებთან და გაცემულ სესხებთან მიმართებაში, რომლებიც დენომინირებულია ისეთი ვალუტით, რომელიც განსხვავებულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან, უპირატესად აშშ დოლარი. კომპანიის მიერ მასალების შესყიდვების უმეტესობა აშშ დოლარშია დენომინირებული და შეესაბამება კომპანიის ზემოთ ხსენებული ოპერაციების მიერ წარმოქმნილ ფულად ნაკადებს.

კომპანიას არ გააჩნია სავალუტო რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ სავალუტო რისკი შესუსტებულია აშშ დოლარში დენომინირებული ოპერაციების შემოსავლის მნიშვნელოვანი თანხის გათვალისწინებით.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკების მიმართ იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2017	აშშ დოლარში დენომინირებული 2016
გაცემული სესხები	56,292	26,933
სავაჭრო მოთხოვნები	106	242
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	103	201
სესხები	(101,851)	(93,192)
სავაჭრო ვალდებულებები	(5,714)	(8,579)
გადასახდელი დივიდენდი	(65,700)	(67,083)
წმინდა გავლენა	(116,764)	(141,478)

წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქვემოთ მოცემულ მნიშვნელოვან გაცვლით კურსებს:

ლარში	საშუალო განაკვეთი		ანგარიშგების თარიღის სპოტ განაკვეთი	
	2017	2016	2017	2016
აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო (გამყარება) შესუსტება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე-ზარალზე (დაბეგვრამდე) ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს ნებისმიერი სახის გავლენას გაყიდვებისა და შესყიდვების პროგნოზზე.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2017		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	11,676	(11,676)
31 დეკემბერი 2016		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	14,148	(14,148)

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებში ცვლილება უმეტესად მოქმედებს სესხებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხი) ან მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლად განაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის დაქვემდებარების ოდენობას ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთიან განაკვეთებზე. ამასთან, ახალი სესხის აღებისას, ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, რომელი განაკვეთიც იქნება მეტად სასარგებლო კომპანიისთვის დაფარვამდე მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ფიქსირებული თუ ცვლად განაკვეთიანი.

დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

ანგარიშგების თარიღში, კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების პროფილი იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	2016
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	56,292	26,933
ფინანსური ვალდებულებები	(103,673)	(96,829)
	(47,381)	(69,896)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხვას ფიქსირებულ განაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ან გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე-ზარალზე, ან კაპიტალზე.

(vi) საოპერაციო რისკი

(ა) სამთო-მომპოვებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობები

სამთო-მომპოვებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობები მათი საქმიანობებიდან გამომდინარე მრავალ საოპერაციო რისკს და ფაქტორს ექვემდებარება, რომლებიც ზოგადად კომპანიის კონტროლს სცდება და შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები შეუზღუდავად მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: (i) მიწისა და წყლის დაუგეგმავი პირობები და ნეგატიური მოთხოვნები წყალთან დაკავშირებული უფლებების შესახებ, (ii) გეოლოგიური პრობლემები, მათ შორის მიწისძვრები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები, (iii) მეტალურგიული და სხვა ფორს-მაჟორული ვითარებები, (iv) უჩვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების წარმოშობა და სხვა ფორს-მაჟორული ვითარებები, (v) მადნის მოსალოდნელზე დაბალი შემცველობა ან ამოღებადობის განაკვეთები, (vi) უბედური შემთხვევები, (vii) საჭირო სახელმწიფო ნებართვების მიღების შეფერხება ან მიუღებლობა, (viii) სასამართლო საქმეთ წარმოების შედეგები, მათ შორის სააგენტო გადაწყვეტილებების გასაჩივრება, (ix) საძიებო და განვითარების სამუშაოებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, (x) შეფერხებები ტრანსპორტირებაში, (xi) შრომითი დავები, (xii) დამაკმაყოფილებელი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობა, (xiii) მასალების და ხელსაწყოების ხელმიუწვდომლობა, (xiv) მოწყობილობების ან პროცესების გაუმართაობა სპეციფიკაციების ან მოლოდინების შესაბამისად, (xv) მოულოდნელი სირთულეები, რომლებიც ითვალისწინებს შეძენილ ოპერაციებს და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას და (xvi) ფინანსური მცდელობების შედეგები და ფინანსური ბაზრის პირობები.

(ბ) ოქროს ფასის არასტაბილურობა

კომპანიის ფინანსური მაჩვენებელი დიდად არის დამოკიდებული ოქროს ფასზე, რაზეც კომპანიის კონტროლს მიღმა მყოფი მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ოქრო წარმოადგენს საქონელს, რომელიც ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზარზე, ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) და ციურიხის ოქროს ფონდში იყიდება. კომპანიის ოქრო იყიდება ლონდონის ძვირფასი ლითონების ბირჟაზე კოტირებული ფასებით. ხსენებულ ბირჟაზე ანგარიშგებულ ოქროს ფასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის (i) ოქროზე მოთხოვნის და მიწოდების ნაშთი მსოფლიო მასშტაბით, (ii) გლობალური ეკონომიკური ზრდის განაკვეთები, ტენდენციები ძვირფასი ლითონების წარმოებაში, რომლებიც უკავშირდება ოქროს მოთხოვნას, (iii) ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური პირობები ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიოს უმსხვილესი მომხმარებლები გახდნენ, ასევე სხვა განვითარებადი ეკონომიკები, (iv) სპეკულაციური საინვესტიციო პოზიციები ოქროსა და ოქროს ფიუჩერსებში, და (v) ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა, მათ შორის აშშ დოლარის გამყარება. ოქროს ბაზარი არასტაბილური სეგმენტია. 2017-2016 წლებში ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზრის ასოციაციის ყოველდღიური საანგარიშგებო ფასები ერთ უნცია ოქროზე 1,249 აშშ დოლარიდან 1,258 აშშ დოლარამდე მერყეობდა.

ოქროს დაბალი ღირებულების ხანგრძლივი პერიოდი უარყოფითად იმოქმედებდა კომპანიის მოგებასა და ფულად ნაკადებზე.

25. პირობითი ვალდებულებები

(ა) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული დაზღვევის მრავალი სახეობა, ზოგადად, ჯერ ხელმიუწვდომელია საქართველოსათვის. კომპანიას სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს-საქმიანობის წყვეტა, ან ქონების და გარემოს დაზიანების გამო მესამე მხარის ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება კომპანიის საკუთრებაში ან მისი ოპერაციების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევების საფუძველზე. სანამ კომპანია არ უზრუნველყოფს შესაფერის სადაზღვევო გარანტიებს, მუდამ იარსებებს იმის რისკი, რომ კონკრეტული აქტივის განადგურებას ან დაკარგვას ნეგატიური გავლენა ექნება კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) სამართალწარმოება

კომპანია მესამე პირის სახით არის ჩართული საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიასთან დაკავშირებულ სარჩელში და ასევე არის მოპასუხე შპს „სამშენებლო მასალების“ მიერ ინიცირებულ საქმეში (მეორე სარჩელი), რომელიც უკავშირდება ნარჩენების გატანის საქმეს:

სარჩელი 1

2015 წლის იანვარში, ორმა ფიზიკურმა პირმა შეიტანა სარჩელი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წინააღმდეგ. მოსარჩელები ითხოვდნენ შემდეგი დოკუმენტების გაუქმებას: სააგენტოს ბრძანება №2/271 (თარიღი: 2014 წლის 12 დეკემბერი), რომლის საფუძველზეც სააგენტომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს საბადოს (ობიექტი) მოუხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და 2) სააგენტოს კორესპონდენცია №05/09/1857 (თარიღი: 2014 წლის 12 დეკემბერი), რომლის საფუძველზეც სააგენტომ გასცა ინფორმაცია და დაამოწმა შპს „არემჯი გოლდის“ მიერ ობიექტის მოხსნა, მათი საქმიანი მიზნებიდან გამომდინარე. მოსარჩელები დავობდნენ, რომ ზემოთ ხსენებული ადმინისტრაციული აქტები გაცემული იყო საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით. კერძოდ, ობიექტი სრულად არ იყო შემოწმებული მისთვის სტატუსის მოხსნამდე და დაინტერესებულ მხარეებს არ შეეძლოთ ადმინისტრაციულ საქმეთ წარმოებაში ჩართვა, რადგან

ის განხორციელდა ძალიან შეზღუდულ ვადებში. სარჩელი შეწყდა სასამართლოს მიერ 2017 წლის 15 დეკემბერს. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა საქმის მოსმენის დღე ჯერ არ ჩანიშნულა.

სარჩელი 2

შპს „სამშენებლო მასალებმა“ (შემდგომში „მოსარჩელე“) სასამართლოში შეიტანა სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ 2015 წლის 21 ოქტომბერს. მოსარჩელე ასაჩივრებდა კომპანიის მიერ სალიცენზიო ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსებას. მოსარჩელე მთლიანობაში ითხოვდა ზარალის ანაზღაურებას 26 მილიონი ლარის ოდენობით.

სასამართლოს მიერ 2016 წლის 6 მარტს გამოტანილი განაჩენის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლომ კომპანიაზე გასცა ბრძანება მოეხდინა მოსარჩელის ლიცენზირებული ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მაგრამ უარი თქვა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელზე.

მოსარჩელემ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. სასამართლო პროცესი ჩაინიშნა 2018 წლის 30 დეკემბერს. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი გაუქმდა მოსარჩელის მოთხოვნით. შესაბამისად, კომპანიამ გამოიხმო ადრე შექმნილი ანარიცხი ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, 1,023 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 24).

(გ) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებით გადასახადის, ჯარიმის ან მოსაკრებლების ვალდებულება შესაძლოა არ დაერიცხოს საგადასახადო უწყების მიერ თუ იმ წლის შემდეგ, როდესაც ამგვარი დარღვევა წარმოიშვა სამი წელი იქნება გასული.

ამგვარმა ვითარებამ შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისგან და იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით შესძლებენ მათი ინტერპრეტაციის ამოქმედებას, მათ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(დ) პირობითი ეკოლოგიური ვალდებულებები

კომპანია სხვადასხვა სახელმწიფო კანონს და რეგულაციას ექვემდებარება, რომლებიც ჰაერის დამაბინძურებელ ემისიებს, მავნე ნივთიერებების, მავნე ნარჩენების და სხვა ტოქსიკური მასალების გენერალიზებას, დამუშავებას, შენახვასა და განკარგვას ეხება. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანია აკმაყოფილებდა გარემო სდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფო მოთხოვნებს და, შესაბამისად, კომპანიას არ აქვს რაიმე სახის პოტენციური პირობითი ეკოლოგიური ვალდებულება, რადგან ხელმძღვანელობას არ მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში წარმოიშვება რაიმე სახის მსგავსი პირობითი ვალდებულება. ამასთან, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და კანონმდებლობასა და მის ინტერპრეტაციებში პოტენციურმა ცვლილებებმა შესაძლოა წარმოშვას მატერიალური ვალდებულებები მომავალში.

26. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის მფლობელია სს „არემჯი კოპერი“ და „Rich Metals Group B.V. Limited“, რომელიც ფლობს („მშობელი კომპანიები“, „მესაკუთრეები“) კომპანიის კაპიტალის 3,79% და 96,21%-ს, შესაბამისად. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიები არიან შპს „Suncort Enterprises“ და „Ticola Holding Limited“. კომპანიის საბოლოო კონტროლის უფლების მქონე მხარეები არიან ბატონი დიმიტრი კორჟევი და ბატონი დიმიტრი ტროიცკი.

კომპანიის არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე და არც შუამავალი მშობელი კომპანია გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებებს.

(ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წლის განმავლობაში წამყვანმა ხელმძღვანელობამ მიიღო შემდეგი სახის ანაზღაურება, რომელიც შესულია პერსონალის ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 8):

'000 ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	2,186	2,911

(გ) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ.

(i) შემოსავალი

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 2017	ოპერაციის ღირებულება 2016	დაუფარავი ნაშთი 2017	დაუფარავი ნაშთი 2016
შემოსავალი / სხვა შემოსავალი: მესაკუთრეები	35,549	25,987	61,964	47,517

(ii) ხარჯი

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 2017	ოპერაციის ღირებულება 2016	დაუფარავი ნაშთი 2017	დაუფარავი ნაშთი 2016
საქონლის შესყიდვა				
მესაკუთრეები	2,942	2,696	-	8,032
ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები	3,302	3,166	53	-
მომსახურებების შესყიდვა: მესაკუთრეები	9,938	10,843	-	-
ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები	-	346	5,861	8,579

(iii) სესხები

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 2017	ოპერაციის ღირებულება 2016	დაუფარავი ნაშთი 2017	დაუფარავი ნაშთი 2016
გაცემული სესხები:				
მესაკუთრეები	11,640	(1,540)	400	2,482
ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები	26,689	14,202	55,892	24,451
სესხები:				
მესაკუთრეები	34,561	-	23,198	-
ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები	769	-	6,310	(10,195)

2017 წელს გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 4,453 ათასი ლარი (2016: 1,841 ათასი ლარი).

2017 წელს მიღებულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 2,189 ათასი ლარი (2016: 795 ათასი ლარი).

მესაკუთრეებისგან მიღებული სესხები წარმოადგენდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას, სესხის გაცემის და დაფარვის რამდენიმე ოპერაციით.

(iv) დივიდენდები

'000 ლარი	გამოცხადებული დივიდენდები 2017	გამოცხადებული დივიდენდები 2016	დაუფარავი ნაშთი 2017	დაუფარავი ნაშთი 2016
მესაკუთრეები	-	-	65,700	67,083

27. ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები

სესხები

ანგარიშგების წარდგენის თარიღის (2018 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით) შემდგომ კომპანიამ აიღო უზრუნველყოფილი საბანკო სესხები და სესხები დაკავშირებული მხარეებისგან 31,892 ათასი აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში: 79,518 ათასი) და 11,503 ათასი აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში: 29,869 ათასი) ოდენობით, შესაბამისად.

ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 2018 წლის 13 დეკემბრამდე, კომპანიამ დაფარა უზრუნველყოფილი საბანკო სესხები და სესხები დაკავშირებული მხარეებისგან 30,844 ათასი აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში: 76,804 ათასი) და 7,315 ათასი აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში: 18,995 ათასი) ოდენობით, შესაბამისად.

ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 2018 წლის 13 დეკემბრამდე, კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე გასცა სესხი 10,922 ათასი აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში: 27,874 ათასი) ოდენობით.

2018 წლის 04 მაისს, კომპანიამ გააფორმა საქართველოს ბანკთან სასესხო ხელშეკრულების (თარიღი: 2012 წლის 08 ივნისი) დანართი, რომლის თანახმადაც ძალაში შევიდა შემდეგი პირობები:

- კომპანია ვალდებულია მოახდინოს ოქროს ღირებულების ჰეჯირება მომდევნო 15 თვის განმავლობაში, თვეში 4,600 უნცია ოქროზე 1,150 აშშ დოლარის ოდენობით;
- ყოველწლიურად კომპანია უფლებამოსილია გასცეს დივიდენდები, შეამციროს საწესდებო კაპიტალი ან იკისროს ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში 2,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით;

- კომპანია უფლებამოსილია გასწიოს მაქსიმალური წლიური კაპიტალური ხარჯი 2018, 2019 და 2020 წლებისთვის, 9,350 ათასი აშშ დოლარის, 7,950 ათასი აშშ დოლარის და 8,050 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად;
- იმ შემთხვევაში, თუ www.bloomberg.com-ის მიხედვით ერთი უნცია ოქროს ღირებულება გახდება 1,188 აშშ დოლარი, კომპანიამ უნდა შეწყვიტოს ნებისმიერი სახის კაპიტალური ხარჯის გაწევა და წინასწარ შეათანხმოს ნებისმიერი ხარჯის გამომწვევი საქმიანობა საქართველოს ბანკთან;
- შენარჩუნებულ უნდა იქნას შემდეგი კოეფიციენტები: DSCR (სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი) უნდა იყოს სულ მცირე 1.4 და თანაფარდობა სესხი/EBITDA არ უნდა აღემატებოდეს 2,5-ს;
- გეოლოგიური სამუშაოს მონიტორინგის განსახორციელებლად, კომპანიამ უნდა მიმართოს საკონსულტაციო კომპანიას „DMT GmbH & Co.“.

28. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

29. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მათ კომპანია თანმიმდევრულად იყენებს.

ქვემოთ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ გვერდებზე:

(ა)	შემოსავალი	36
(ბ)	ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	37
(გ)	უცხოური ვალუტა	37
(დ)	თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	37
(ე)	მოგების გადასახადი	38
(ვ)	მარაგები	38
(ზ)	ძირითადი საშუალებები	39
(თ)	არამატერიალური აქტივები	40
(ი)	ფინანსური ინსტრუმენტები	41
(კ)	საწესდებო კაპიტალი	42
(ლ)	გაუფასურება	42
(მ)	ანარიცხები	44

(ა) შემოსავალი

(i) გაყიდული ოქრო

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან სამუშაოს ჩვეულებრივ პროცესში ფასდება მიღებული ან მოთხოვნილი გადახდის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი აღიარდება მას შემდეგ, რაც იარსებებს სანდო მტკიცებულება (ჩვეულებრივ გაფორმებული გაყიდვების ხელშეკრულების ფორმით) იმისა, რომ მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება გადაეცა მყიდველს, სავარაუდოა, რომ გადახდილი თანხა აღდგება, დაკავშირებული ხარჯები და მოსალოდნელი ამონაგები საქონელზე შესაძლოა სანდოდ იქნას შეფასებული, რომ ადგილი არ აქვს საქონელთან მიმართებაში ხელმძღვანელობის ჩართულობა და რომ შემოსავლის თანხა შესაძლოა სანდოდ იქნას შეფასებული.

რისკებისა და საკუთრების უფლების გადაცემის ვადები განსხვავდება, გაყიდვების ხელშეკრულების ინდივიდუალური პირობებიდან გამომდინარე. ოქროსა და ვერცხლის ზოდების გაყიდვისთვის, გადაცემა წარმოიშვება ტრანსპორტირების დადასტურებული მიღებიდან 5-10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც კომპანია კლიენტისგან მიიღებს ოქროსა და ვერცხლის ზოდების კონკრეტული ტრანსპორტირების დასრულების დასტურს.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან წარმოშობილ შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებზე ან ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი შემოსულობა და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე, ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით, იმის მიხედვით, რა პოზიციაში იმყოფება მოძრაობა უცხოურ ვალუტაში - წმინდა მოგების, თუ წმინდა წაგების.

(გ) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის თარიღებში მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, იმ თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით, როდესაც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულება. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა უცხოურ ვალუტაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოების გადახდის ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევის მომენტიდან. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე ან კონსტრუქციული ვალდებულება მოახდინოს ამ თანხის გადახდა დასაქმებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და ამგვარი ვალდებულება შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული.

(ე) მოგების გადასახადი

აღრიცხული მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. ის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია არ არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე შესულია დივიდენდებიდან წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებაში.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(გ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ ძირ თანხას და ის მოიცავს მარაგების შეძენისას და წარმოებისა გაწეულ ხარჯებს, საკონვერტაციო და სხვა სახის ხარჯებს, რომელთა გაწევაც ხდება მათი არსებულ ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანის მიზნით.

წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ნომინალური საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს სამუშაოს ჩვეულებრივ პირობებში მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის ხარჯების მოსალოდნელი ღირებულება.

კომპანია არ იყენებს სტანდარტს ბასს 23-ს (ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები) განმეორებად საფუძველზე დიდი რაოდენობით წარმოებულ დასრულებულ საქონელთან პირდაპირ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯებთან მიმართებაში.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, თვითღირებულებით ფასდება, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2005 წლის 1 იანვარს (ფასს-ებზე გადასვლის თარიღი) განისაზღვრა მოცემულ თარიღში მის სამართლიან ღირებულებაზე მიმართების გზით.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციას, აქტივის დემონტაჟის, გატანის და იმ ადგილის დასუფთავების ღირებულებას, სადაც აქტივია განთავსებული, ასევე სესხების პროცენტის კაპიტალიზაციის ხარჯებს. შემენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ცალკე კომპონენტები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

გახსნის საწარმოო ხარჯები, რომლებიც მომავალში მოსაპოვებელ მადანთან წვდომას აუზოვებს, აღიარდება სამთო-მომპოვებელი ქონების დამატებად მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი:

- არსებობს ვარაუდი, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება;
- საწარმოს შეუძლია მოახდინოს იმ მადნის კომპონენტის იდენტიფიცირება, რომელთანაც წვდომა იქნა გაუზოვრებული; და
- გახსნის საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც კომპონენტს უკავშირდება, ობიექტურად შეიძლება შეფასდეს.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი სამუშაო მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითად საშუალებებს თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- | | |
|--------------------------------------|---------------------------|
| – შენობა-ნაგებობები და ინსტალაციები | 4-8 წელი; |
| – მანქანა-დანადგარები | 4-8 წელი; |
| – ავტომობილები, ავეჯი და ხელსაწყოები | 3-4 წელი; |
| – საბადოს ქონება | წარმოების მეთოდის ერთეული |
| – სხვა | 3-4 წელი. |

ცვეთის მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები ანგარიშგების წარდგენის ყველა თარიღში გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება. (შენიშვნა 12)

(თ) არამატერიალური აქტივები

(iv) საბადოს განვითარების ხარჯები

საბადოს განვითარების ხარჯი მოიცავს კაპიტალიზირებული განვითარების ხარჯებს სამთო-მომპოვებელ სამუშაოებზე, რომლისთვისაც თვალსაჩინოა მინერალური რესურსების ტექნიკური მიზანშეწონილობა და კომერციული სიცოცხლისუნარიანობა. კაპიტალიზირებული დანახარჯი მოიცავს მასალების, პირდაპირი შრომისა და ზედნადები ხარჯების ღირებულებას, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ სარგებლობისთვის მომზადებას და ასევე კაპიტალიზირებულ ნასესხებ ხარჯებს. ახალი მადნეულის განვითარებასთან, არსებული მადნის მინერალიზაციის განსაზღვრებასთან, ასევე წარმოების სიმძლავრის დადგენასა და გაფართოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი, კაპიტალიზირდება წარმოების კომერციული დონეების მიღწევამდე, როდესაც ხარჯები ამორტიზირდება ქვემოთ ნაჩვენები წესით.

საბადოს განვითარების ხარჯი ფასდება თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციის და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(v) სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც დასრულებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(vi) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირდება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

(vii) ამორტიზაცია

(ა) საბადოს განვითარების ხარჯები

საბადოს განვითარების ხარჯი ამორტიზირდება წარმოების მეთოდის ერთეულების გამოყენებით, მოსალოდნელი დამტკიცებული და შესაძლო მადნის რეზერვების საფუძველზე. განისაზღვრება სასარგებლო ვადები შემოსავლის ანგარიშგებაში სამართლიანი და სისტემატიური დარიცხვის განსაზღვრის მიზნით, კონკრეტული მადნის თვისებების და მისი მოპოვების მეთოდის გათვალისწინებით.

(ბ) სხვა არამატერიალური აქტივები

ამორტიზაცია დაანგარიშდება აქტივის ვადის ან თვითღირებულების ჩამნაცვლებელი სხვა თანხის გათვალისწინებით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა საბადოს განვითარების აქტივისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა.

მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზია 11 წელი;
- სხვა (პროგრამული უზრუნველყოფა, ლიცენზიები) 3-4 წელი.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში იცვლება.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ახდენს შემდეგ კატეგორიებში: სესხები და მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ი) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები – აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სესხებს და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ის გადასცემს ფინანსურ აქტივზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას გადასცემს ოპერაციაში, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკის გადაცემა. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, გაუქმდება ან მათ ვადა გაუვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი უფლება გაქვითოს აღიარებული თანხები და ექნება სურვილი მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის გაყიდვა და

ვალდებულებების დაფარვა. მოცემული მომენტისთვის კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ წარმოადგენს მომავალი მოვლენის ნაწილს და ის ძალაშია საქმიანობის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პროცესში და ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუნარიანობის ან კომპანიის და ყველა კონტრაქტის გაკოტრების პირობებში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდები, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამგვარი აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი საოპერაციო ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ხარჯით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხების და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სესხები, სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად ბალანსებს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, თავდაპირველი დაფარვით ვადით სამი ან ნაკლები თვე.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებებია თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ამგვარი ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს 21-ე შენიშვნის შესაბამისად, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს 22-ე შენიშვნის შესაბამისად გადასახდელი დივიდენდის შენიშვნის 20(b) შესაბამისად.

(კ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

დამატებითი შენატანი კაპიტალში

კომპანიის პარტნიორების მიერ განხორციელებული ნომინალური შენატანი, რომლისთვისაც ადგილი არ აქვს აქციონერების გადაწყვეტილებას კომპანიის საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ, აღირიცხება კაპიტალში დამატებითი შენატანის სახით.

(ლ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება ყოველ ანგარიშგების თარიღში, იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ის გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის (მათ შორის კაპიტალური ფასიანი ქაღალდების) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცილებას ან საერთოდ უარის თქმას ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისაციას ისეთი პირობით, რომ კომპანია სხვაგვარად არ განსაზღვრავს;
- ნიშნებს იმისა, რომ მოვალე გაკოტრდება;
- უარყოფითი ცვლილება მსესხებლის ან ემიტენტის გადახდის სტატუსში კომპანიაში;
- ეკონომიკურ პირობებს, რომელიც გადაუხდელობას იწვევს.
- ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, მათ შორის იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია ამ აქტივებთან დაკავშირებულ გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც ინდივიდუალური აქტივის, ასევე - აქტივების ერთობლიობის დონეზე. ყოველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივები ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე. ინდივიდუალური აქტივები, რომლებიც არ ჩაითვლება გაუფასურებულად, შემდგომში შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებაზე, რაც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. აქტივები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, ერთობლივად შეფასდება, აქტივების მსგავსი რისკის მიხედვით დაჯგუფების გზით.

ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც იცვლება ხელმძღვანელობის მსჯელობის საფუძველზე, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

გაუფასურების ზარალი დაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება სარეზერვო ანგარიშზე. როდესაც კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის დაბრუნების რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გაგრძელდება, დისკონტირების დაბრუნების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის თანხის კლებას და ამგვარი კლება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ გამოწვეულ ვითარებას, კლება გაუფასურების ზარალში აღდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხდება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას და ისინი მოიხმარენ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის სახით. კორპორატიული აქტივები გადანაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ტესტირების შემადგენელი ნაწილის სახით, რომელზედაც გადანაწილდება კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ღირებულება) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის აღიარების მიზანს წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) აქტივების საბალანსო ღირებულების პროპორციულად შემცირება.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველ ანგარიშგების თარიღში ნებისმიერ მითითებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირებულია ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი გაუქმდება თუ ადგილი ექნება ცვლილებას შეფასებებში, რომელიც გამოიყენება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრად. გაუფასურების ზარალი უქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, თუ გაუფასურების ზარალი არ აღიარდებოდა.

(მ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ განვლილი მოვლენის შედეგად კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც ობიექტურად შესაძლოა შეფასდეს და თუ სავარაუდოა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულების დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების აღდგენა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(ი) ტერიტორიის რეკულტივაცია/აღდგენა

ბუნებრივი რესურსების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომხმარებელი პასუხს აგებს სამუშაო მოედნის რეკულტივაციაზე რესურსებით სარგებლობის დასრულების ან რაიმე სხვა მიზნით რესურსებით სარგებლობის შეწყვეტისთანავე და თუ რესურსების მომავალ სარგებლობას ადგილი აღარ აქვს.

შესაბამისი აქტივები აღიარდება ძირითად საშუალებებში. სამუშაო მოედნის აღდგენის ხარჯი განისაზღვრება ვალდებულებების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გამოყენებით დასაფარად გასაწევი მოსალოდნელი ხარჯების მიმდინარე ღირებულებით. ფულადი ნაკადები დისკონტირდება მიმდინარე დაბეგვრამდე ურისკო განაკვეთით. დისკონტირების აღდგენა აღიარდება გაწეულის სახით და აღიარდება მოგებაში ან ზარალში ფინანსური ხარჯის გაწევის მომენტიდან. აღდგენასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფინანსური ხარჯები ყოველწლიურად გადაიხედება და შესაბამისად იცვლება. ცვლილებები მოსალოდნელ მომავალ ხარჯებში, აღდგენის ვადებში ან გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში ემატება ან დაიქვითება შესაბამისი აქტივების ხარჯებს.

ანარიცხების სახით აღიარებული თანხა წარმოადგენს ანგარიშგების თარიღში მიმდინარე ვალდებულების დასაფარად მოთხოვნილ ხარჯს. რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც მრავალ მოვლენას და ვითარებას უკავშირდება, გათვალისწინება ანარიცხის საუკეთესო შეფასების განსაზღვრის პროცესში. უახლოეს მომავალში სამუშაო მოედნის რეკულტივაციის ხარჯების განსაზღვრას მნიშვნელობანი მსჯელობა სჭირდება. მომავალი მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხაზე, აისახება ანარიცხის თანხაში, თუ იარსებებს მათი წარმოშობის ობიექტური მტკიცებულება.

30. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტი, შესწორება სტანდარტებში და ინტერპრეტაცია, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან, სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

(ა) ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 (შემოსავალი), ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები) და ფასიკ 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები). ფასს 15-ის ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. სტანდარტის ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია.

(i) საქონლის გაყიდვა

ფასს 15-ის ფარგლებში, მთლიანი გადახდა საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებებში გადანაწილდება შესრულების მთლიან ვალდებულებებზე მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასების საფუძველზე. ინდივიდუალური გასაყიდი ფასები განისაზღვრება ფასების სიით, რომლითაც კომპანია ყიდის საქონელს ინდივიდუალურ ოპერაციებში.

კომპანია არ მოელის, რომ ფასს 15-ის გამოყენება მნიშვნელოვან სხვაობას გამოიწვევს საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარების ვადებში ან რომ ფასს 15-ზე გადასვლას არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ii) გარდამავალი პერიოდი

კომპანია გეგმავს ფასს 15-ის მიღებას კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველად ხსენებული სტანდარტის კაპიტალში ასახვით 2018 წლის 1 იანვარს. შედეგად, კომპანია არ გამოიყენებს ფასს 15-ის მოთხოვნებს წარმოდგენილ შესადარის პერიოდთან მიმართებაში. ამგვარი ცვლილება სრულად იქნება ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც უნდა მომზადდეს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

(ბ) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულების აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება).

კომპანია ვალდებულია მიიღოს ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, კლიენტებთან 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიამ შეაფასა, რომ ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ სტანდარტის მიახლოებული შესაძლო გავლენა კომპანიის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება ამ თარიღისთვის განხორციელებულ

წინასწარ შეფასებებს. კომპანიის შეფასების საფუძველზე, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის მიღებით გამოწვეული ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში არ აღემატება 10 მილიონ ლარს. გავლენა ძირითადად უკავშირდება დამატებით გაუფასურების ზარალს, რომელიც დაანგარიშდება სავაჭრო მოთხოვნებთან და გაცემულ სესხებთან მიმართებაში.

(i) კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომელის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის აუქმებს არსებულ ბასს 39-ის ვადის დაფარვამდე მფლობელობაში მქონე აქტივების, სესხების, მოთხოვნებისა და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, ისეთ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, არ განცალკევდება. ამის ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის მთლიანობაში ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი.

(ii) გაუფასურება - ფინანსური აქტივები და სახელშეკრულებო აქტივები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ ‘განცდილი საკრედიტო ზარალის’ მოდელს, მომავალზე ორიენტირებული ‘მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის’ მოდელით. ეს მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე დაფუძნებულ საფუძველზე.

გაუფასურების ახალი მოდელი გამოიყენება ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისა და სახელშეკრულებო აქტივებისა.

ფასს 9-ის ფარგლებში, ზარალის რეზერვები შეფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთის საფუძველზე:

- 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც იწვევს შესაძლო დეფოლტის შემთხვევებს ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი ზარალი, რომელიც იწვევს დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ადგილი აქვს, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო ზარალი ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად შემცირდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და თუ ამგვარ შემცირებას ადგილი არ ექნება გამოიყენება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, თუ ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის აქტივს დაბალი საკრედიტო რისკი ახასიათებს. ამასთან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე; კომპანიამ შესაძლოა გადაწყვიტოს ამ პოლიტიკის გამოყენება ასევე სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი აქვთ.

კომპანიას სჯერა, რომ გაუფასურების ზარალი სავარაუდოდ გაიზრდება და მეტად არასტაბილური იქნება აქტივებისთვის, ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში. ზემოთ აღწერილი გაუფასურების მეთოდოლოგიის საფუძველზე, კომპანიამ შეაფასა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვარს იწვევს დამატებით გაუფასურების ზარალს, ზემოთ, შენიშვნაში 30(b) განხილულის შესაბამისად.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

თუმცა, ბასს 39-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება, რომელიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, მოგებაში ან ზარალში ასახვით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, რადგან ფასს 9-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ამგვარი ცვლილება ზოგადად შემდეგი სახით აღირიცხება:

- სამართლიანი ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას უკავშირდება, სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება; ხოლო
- სამართლიანი ღირებულების ცვლილების დანარჩენი თანხა აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და მას არ აქვს ამგვარი განზრახვა. კომპანიის შეფასება არ მოიცავს რაიმე არსებით გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით 2018 წლის 1 იანვრისთვის.

(iv) განმარტებები

ფასს 9 მოითხოვს ახალ ვრცელ განმარტებებს, კერძოდ საკრედიტო რისკთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებაში. კომპანიის წინასწარი შეფასება მოიცავდა მონაცემებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების ანალიზს მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და კომპანია გეგმავს სისტემის და საკონტროლო მექანიზმების ცვლილების განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნება მოთხოვნილი მონაცემების მისაღებად.

(v) გარდამავალი პერიოდი

კომპანია გამოიყენებს ახალ სტანდარტზე გადასვლის მოდიფიცირებულ რეტროსპექტიულ მიდგომას და არ წარადგენს წინა პერიოდების გადაანგარიშებულ შესადარის ინფორმაციას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები, რომლებიც ფასს 9-ის მიღებით წარმოიშვებიან, აღიარდება გაუნაწილებელი მოგების და რეზერვების კატეგორიაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(გ) ფასს 16 - იჯარები

ფასს 16 ჩაანაცვლებს ბასს 17-ში (იჯარები), ფაისკ 4-ში (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15-ში (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27-ში (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას) არსებულ იჯარასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო მითითებებს.

სტანდარტი ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს და შემდგომ მოქმედი ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია საწარმოებისთვის, რომლებიც ასევე იყენებენ ფასს 15-ს ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღში ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 განსაზღვრავს ბალანსზე აღრიცხულ სააღრიცხვო მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი აქტივის გამოყენების და მის საიჯარო გადახდის ვალდებულებას. თუმცა არსებობს აღიარებისგან გათავისუფლება მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე ერთეულების იჯარებისთვის.

მეიჯარის სააღრიცხვო პოლიტიკა რჩება უცვლელი - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსური ან საოპერაციო იჯარების სახით.

კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენებით გამოწვეულ პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ფასს 16-ის გამოყენების ფაქტიური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის კომპანიის სესხების განაკვეთზე, 2019 წლის 1 იანვარს, ამ თარიღისთვის კომპანიის საიჯარო პორტფელის შემადგენლობაზე, კომპანიის ბოლო შეფასებაზე იმის შესახებ, ისარგებლებს თუ არა ის იჯარის განახლების რაიმე ფუნქციით და იმ ფარგლებზე, რომელშიც კომპანია ირჩევს პრაქტიკული გამოცდილება გამოიყენოს, თუ აღიარებასთან დაკავშირებული გათავისუფლების უფლება.

შპს არემჯი გოლდის

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

დამტკიცებული მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 14 დეკემბერს

საქმიანობის მიმოხილვა

შპს არემჯი გოლდი დაარსდა 1994 წელს. კომპანია რეგისტრირებულია დაბა კაზრეთში, ბოლნისის რაიონში. კომპანია ფლობს საყდრისის საბადოს მინერალური რესურსების კვლევის, მოპოვების და გადამუშავების ლიცენზიას ბოლნისის და დმანისის რაიონებში 2042 წლის იანვრამდე. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ოქრო-ვერცხლის შენადნობის (ე. წ. დორეს) და ასევე ოქრო-სპილენძის მადნის წარმოება და გაყიდვა. ოქრო-ვერცხლის შენადნობი -დორეს გატანა ხდება საზღვარგარეთ, ხოლო ოქრო-სპილენძის მადნის მიწოდება ხდება სს არემჯი კოპერზე.

კომპანიის ტექნოლოგიური პროცესი წარმოადგენს ქანებიდან ძვირფასი მეტალების, ოქროს და ვერცხლის გამოტუტვას ნატრიუმის ციანიდის საშუალებით (გროვული გამოტუტვის პროცესი); გამოტუტვის ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში ხდება ე.წ. გროვის ფორმირება წყალგაუმტარ ზედაპირზე რომელზეც ხდება ციანიდის ხსნარის დასხურება. ოქრო და ვერცხლი გადადის ხსნარში, რომელიც გაიფილტრება აქტივირებული ნახშირის საშუალებით და გამოწვის შემდეგ ხდება ზოდების ჩამოსხმა. გროვაზე დასხურება ხანგძლივი პროცესია და შესაძლებელია 1 წლამდე გაგრძელდეს. აღსანიშნავია რომ მოცემული პროცესი იძლევა დაბალი შემცველობის (ოქროს შემცველობა 1 გრამი ტონაზე და ნაკლები) მადნის გადამუშავების საშუალებას. აგრეთვე შესაძლებელია ერთხელ დაფქვილი და გადამუშავებული მადნის ხელმეორედ და მესამედ გადამუშავება. ამ შემთხვევაში ეკონომიკურად მიზანშეწონილი მადნის შემცველობა შეიძლება იყოს 0.3 გრამი ტონაზე ან უფრო ნაკლები. ასევე აღსანიშნავია რომ მოცემული ტექნოლოგიით შესაძლებელია მხოლოდ სპეციფიკური მადნების (ე. წ. ოქსიდური ანუ დაჟანგული) გადამუშავება.

ამჟამად კომპანია მუშაობს რამდენიმე პროექტზე: კერძოდ, გრძელდება საყდრისის საბადოდან მადნის მოპოვება და გადამუშავება, ასევე ხდება უკვე გადამუშავებული მადნის მესამედ გადამუშავება. კომპანია ასევე ახორციელებს ე.წ. აგლომერაციის პროექტს, რაც გულისხმობს ბარიტის მადნის შერევას უკვე გადამუშავებულ მადანთან. გარდა ამისა მიმდინარეობს საყდრისის საბადოდან მადნის მოპოვება სს არემჯი კოპერზე მისაწოდებლად.

ამ ეტაპზე არსებული მარაგების გათვალისწინებით, საყდრისის საბადოდან მადნის მოპოვება 2,3 მილიონი ტონის რაოდენობით არის მოსალოდნელი რაც შეიცავს დაახლოებით 72 ათას უნცია ოქროს (1 უნცია 31.1035 გრამია); მოცემული რაოდენობის ამოღება უნდა მოხდეს 2020 წლის ბოლომდე.

მესამედ გადამუშავება ხორციელდება ე.წ. ძველ გროვებზე რაც წარმოადგენს ძირითადათ 90 იანი წლებიდან სს არემჯი კოპერისგან შესყიდულ და გადამუშავებულ მადნებს, რომელზეც შემდგომ განხორციელდა ე.წ. გადაბრუნება ანუ მეორედ გადამუშავება. მესამედური გადამუშავებისთვის ვარგისი მადანი შეფასებულია 18,6 მილიონი ტონის რაოდენობით რომელიც შეიცავს 163 ათას უნცია ოქროს. მოცემული რაოდენობის მადნის გადამუშავება იგეგმება 2021 წლის ბოლომდე.

აგლომერაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 1,7 მილიონი ტონა ბარიტის მადნის გადამუშავება რომელიც შეიცავს 27 ათას უნცია ოქროს. ამ პროექტის ფარგლებში გადამუშავება უნდა მორჩეს 2019 წელს.

სს არემჯი კოპერისთვის ოქრო სპილენძის მადნების მოპოვება იგეგმება 8,9 მილიონი ტონის ოდენობით, რომელშიც ოქროს შემცველობა იგეგმება 178 ათასი უნციის ოდენობით, ხოლო სპილენძის შემცველობა 28 ათასი ტონის ოდენობით. მოცემული რაოდენობის მადნის მოპოვება იგეგმება 2025 წლის ბოლომდე.

მომავალში ასევე იგეგმება საყდრისის საბადოს მადნების მეორადი გადამუშავება და თეორიაში მესამედური გადამუშავება. ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გეგმები მნიშვნელოვნად შეიცვალოს - მაგალითად, ფასების გაზრდა ამცირებს ეკონომიკურად მიზანშეწონილი ოქროს შემცველობის მინიმალურ დონეს - შესაბამისად ზრდის გადასამუშავებელი მადნის რაოდენობას.

კომპანიის საქმიანობისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ოქროს ამოკრეფის კოეფიციენტის ცნება. არსებული ტექნოლოგიური პროცესი არ იძლევა მადანში არსებული ოქროს სრულად ამოღების საშუალებას. ეს მონაცემი დამოკიდებულია ძირითადად მადნის ხარისხზე, ოქროს შემცველობაზე, გროვის სიდიდეზე და ა.შ. 2017 მონაცემებით საყდრისის მადნისთვის ეს კოეფიციენტი იყო 62%, მესამედური გადამუშავებისთვის 25%, ხოლო ბარიტის მადნისთვის 49%.

რაც შეეხება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას, ოქროს და ვერცხლის რეალიზაცია შემცირდა 2016 წელს 171,0 და 1,9 მილიონი ლარიდან - 158,9 და 1,5 მილიონ ლარამდე შესაბამისად. შემცირება ძირითადად განპირობებულია საყდრისის საბადოს მადანში ოქროს შემცველობის შემცირებით და ასევე ძველ გროვებზე მეორადი გადამუშავების დასრულებით და მესამედური გადამუშავების დაწყებით. ამავე დროს გაიზარდა ოქრო- სპილენძის მადნის რეალიზაცია 19,2 მილიონიდან 2016 წელს 30,2 ლარამდე 2017 წელს. ოქროს და ვერცხლის თვითღირებულება შემცირდა 95,3 და 0,5 მილიონი ლარიდან 2016 წელს - 93,9 და 0,5 მილიონ ლარამდე 2017 წელს. აღსანიშნავია 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ხელფასების ზრდა 8,7

მილიონი ლარიდან 12.1 მილიონ ლარამდე. ნაწილობრივ ეს განპირობებულია დასაქმებული პერსონალის ზრდით და ასევე ხელფასების ზრდით. ზოგადად 2016 წლიდან 2017 წლის ჩათვლით გაიზარდა დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხვი - 1,091 თანამშრომლიდან 1,236-მდე. კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე ფლობენ განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს რაც უნიკალურია საქართველოსთვის.

კომპანიის საქმიანობა დაკავშურებულ კომპანია სს არემჯი კოპერთან, კონტრაქტორებთან და ქვეკონტრაქტორებთან ერთად ქმნის მნიშვნელოვან დადებით ეკონომიკურ ეფექტს როგორც დასაქმების ისე გადადასახადო შემოსავლების კუთხით ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში.

კომპანია აგრეთვე ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს სოციალური დახმარების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებისა და რეაბილიტაციის (ფიტარეთი, ბოლნისის სიონი, ალავერდი და ა.შ), კულტურისა და სპორტის კუთხით.

მადნების მოპოვება და გადამუშავება რეგულირდება ლიცენზიების და ნებართვების ფარგლებში. კომპანია ფლობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში საყდრისის ოქრო-პოლიმეტალურ საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა მოპოვების #1002122 ლიცენზიას. ასევე კომპანია ფლობს შესაბამის ნებართვას მადნის გროვულ გამოტუტვაზე.

გარემოს დაცვა

გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების თვალსაზრისით 2017 წლის ბოლოსთვის შპს არემჯი გოლდი რამდენიმე გამოწვევის წინაშე იდგა. კერძოდ: ჰაერი, წყალი, ნარჩენების მართვა და სახიფათო ნივთიერებების მართვა. წლის ბოლოს მენეჯმენტმა შეიმუშავა შპს "არემჯი გოლდის" გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხების ერთიანი პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტი. დოკუმენტში წარმოდგენილია კომპანიის ხედვა და პრინციპები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შრომის უსაფრთხოების ზომების გამკაცრება.

პირველ რიგში შემუშავდა ახალი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა, რომელმაც მოიცვა ყველა გარემოსდაცვითი კომპონენტი (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ბიომრავალფეროვნება).

ატმოსფერულ ჰაერზე ნეგატიური ზემოქმედებას ძირითადად იწვევს მადნის ტრანსპორტირების, დამსხვრევისა და ქარისმიერი ეროზიის შედეგად წარმოქმნილი მტვერი.

მტვრის ემისიების შემცირების მიზნით დაიგეგმა წყლის ჭავლის დანადგარების დამონტაჟება, რაც განხორციელდა 2018 წელს. შიდა გზებზე ტრანსპორტის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი მტვრის შემცირება ხორციელდება ცხელ და მშრალ ამინდებში ძირითადი სატრანსპორტო გზების პერიოდული მორწყვით.

ნარჩენების მართვის თვალსაზრისით პირველ რიგში შემუშავდა ახალი ნარჩენების მართვის გეგმა, აშენდა ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნები. საწარმოო მოედნებზე განთავსდა

ნარჩენების სეპარაციისათვის განკუთვნილი კონტეინერები (ურნები) და დაიხვეწა ნარჩენების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა. კომპანიის ნარჩენების მართვა მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით. სახიფათო ნივთიერებების მართვის თვალსაზრისით კომპანიის ორივე საწარმოო მოედანზე ჩატარდა სახიფათო ნივთიერებების საწყობების მოწყობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოეწყო შესაბამისი იატაკები, გადახურვები, სადრენაჟო არხები. ჩამოყალიბდა სახიფათო ნივთიერებების მართვის ინსტრუქციები და მართვის გეგმები, დაიხვეწა მონიტორინგის სისტემა.

მადანშემცველი ზონებიდან მადნის მოპოვების დროს შესაძლებელია მჟავე და სულფატური აგრესიული წყლების წარმოქმნა, რაც შეიძლება გახდეს გარემოს დაბინძურების მიზეზი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საყდრისის ტერიტორიაზე წარმოქმნილი კარიერული “მჟავე” წყლების მაღალი ეფექტურობით გაწმენდის უზრუნველსაყოფად 2020 წლის 31 მარტამდე დაგეგმილია თანამედროვე ტიპის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. აგრეთვე, სანიაღვრე წყლების (მათ შორის უბნების გარეთ მაგ: გზებზე და სხვ.) შეგროვებისთვის 2019 წლის 31 დეკემბრამდე საწარმოს პერიმეტრზე მოეწყობა სანიაღვრე წყლების შემკრები არხების სისტემა. შემკრები სისტემით საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები მიმართული იქნება სანიაღვრე წყლების შემკრები ავზისკენ. სანიაღვრე წყლების შემკრების ავზის მოწყობა გათვალისწინებულია კარიერული „მჟავე“ წყლების გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ. შემკრები ავზიდან სანიაღვრე წყლების გადადინება მოხდება გამწმენდ ნაგებობაში (ქიმიური გამწმენდი) და გაწმენდილი წყალი ჩაედინება მდ. მაშავერაში.

საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ “Golder Associates” შეასრულა წინასწარი კვლევები ჩამდინარე წყლების კონტროლის საუკეთესო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების შესამუშავებლად.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ოქროს ფასების ცვალებადობა

კომპანიის ფინანსური შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ოქროს ფასებზე, რომლებიც თავის მხრივ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული და კომპანიის კონტროლს გარეთაა; ოქროთი ვაჭრობა ჩვეულებრივად ხდება ლონდონის ოქროს ბირჟაზე (London Bullion Market), ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე (Tokyo Commodity Exchange), ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (New York Commodity Exchange (COMEX)) და ციურიხის ოქროს ბირჟაზე (Zurich Gold Pool). კომპანიის ოქრო იყიდება ლონდონის ოქროს ბირჟაზე გამოცხადებული ოქროს ფასების საფუძველზე. მსოფლიოს ოქროს ფასები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის (1) მსოფლიო ოქროს მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობა (2) მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპები, ასევე ძვირფასეულობის წარმოება რაც ოქროს მოთხოვნასთან არის კორელაციაში (3) ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სიტუაცია ინდოეთში და სხვა აზიურ ქვეყნებში რომლებიც გახდნენ ოქროს უდიდესი მომხმარებლები, ასევე სხვა განვითარებადი ქვეყნები (4) ოქროსა და ოქროს ფიუჩერებში სპეკულაციური ინვესტიციები (5) გაცვლითი კურსების ცვალებადობა და აშშ დოლარის კურსის გამყარება. ოქროს ფასები ცვალებადია - 2017 წელს ყოველდღიური კურსები მერყეობდა 1,150 აშშ

დოლარს და 1,343 აშშ დოლარს შორის; მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში ოქროზე დაბალი ფასების შენარჩუნება უარყოფითად მოქმედებს კომპანიის მოგებასა და ფულად ნაკადებზე. მოცემული რისკის მართვა 2017 წლის ბოლოსთვის არ ხდებოდა, თუმცა 2018 წლიდან კომპანიამ დაიწყო ჰეჯირების გამოყენება მოცემული რისკის დასაფარად.

სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობის რისკები

სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობა ხასიათდება მრავალი საოპერაციო რისკებითა და ფაქტორებით, რომლებიც კომპანიის კონტროლს მიღმაა და გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციულ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან:

- (i) მიწისა და წყლის დაუგეგმავ მდგომარეობას
- (ii) გეოლოგიურ პრობლემებს, მათ შორის მიწისძვრებს და სხვა სტიქიურ უბედურებებს
- (iii) მეტალურგიულ და გადამუშავების პრობლემებს
- (iv) უჩვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების და სხვა ფორმის ფორსმაჟორული მოვლენების წარმოშობას
- (v) მოსალოდნელზე დაბალ შემცველობებსა და ამოკრეფის კოეფიციენტებს
- (vi) უბედურ შემთხვევებს
- (vii) სამთავრობო ნებართვების დაგვიანებულ მიღებას ან უარს
- (viii) სამართალწარმოების, მათ შორის სააპელაციო გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგებს
- (ix) გაურკვევლობას სამთო-სადიებო საქმიანობისას
- (x) ტრანსპორტირების შეფერხებას
- (xi) შრომით დავებს
- (xiii) სასურველი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობას
- (xiii) საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის მოპოვების შეუძლებლობას
- (xiv) სპეციფიკაციებისა და მოლოდინების შესაბამისად მოწყობილობების ან პროცესების წარუმატებელ მუშაობას
- (xv) გაუთვალისწინებელ სირთულეებს შემენილ ოპერაციებთან და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას
- (xvi) დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ბაზრის მდგომარეობას

მოცემული რისკების სრულად დაფარვა შეუძლებელია თუმცა კომპანიაში მაღალი კლასის გეოლოგების, იურისტებისა და სხვა სპეციალისტების დასაქმება ამცირებს მოცემული რისკების წარმოქმნის ალბათობას და უარყოფით შედეგებს.

სხვა რისკები

სხვა რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ზრდის რისკს, ვალუტის გაუფასურების და სხვა რისკებს; იმის გამო რომ კომპანიის გაყიდვები ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში ამ სახის რისკების გავლენა უმნიშვნელოა;


14 დეკემბერი 2018 წელი

აღმასრულებელი დირექტორი
ჯონდო შუბითიძე


ფინანსური დირექტორი
ლაშა მეფარიშვილი

სხვა რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ზრდის რისკს, ვალუტის გაუფასურების და სხვა რისკებს; იმის გამო რომ კომპანიის გაყიდვები ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში ამ სახის რისკების გავლენა უმნიშვნელოა;

14 დეკემბერი 2014 წელი



აღმასრულებელი დირექტორი
ჯონდო შუბითიძე



ფინანსური დირექტორი
ლაშა მეფარიშვილი